პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

კომუნისტი — ორган ЦК КП Грузии, Верховного Совета Грузинской ССР и Совета Министров Грузинской ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

შაბათი 11 ნოემბერი 1978 წ. № 264 (17308) ფასი 2 კაპ.

დიდი შეფასების კასშია

ხუთწლედის დამკვრელური წლის დამლევამდე — საექსპლოატაციოდ კიდევ ორი აგრეგატი! — ასეთია ენგურჰესელთა ვალდებულება.

სასიხარულო დღეები

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი აგრეგატის ვადაზე ადრე გაშვებამ, პირველმა სამრეწველო დენმა, რომელიც სსრ კავშირის ერთიან ენერგოსისტემაში ჩაირთო, დიდი სიხარული მოგვანიჭა მშენებლებს. გვიხილავს მრავალი წლის დიდი და დაძაბული შრომის ნაყოფი, აკაიფებენ ენგურის ჩირაღდნებს.

ჩვენი სიხარული უფრო გაორკეცდა, როცა ენგურჰესის მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის ამაგი ესოდენ დიდად შეფასა და გამარჯვება მოგვილოცა ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს კი მეტს გვავალებს და ენერგიას გვმატებს, რათა დროზე შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სერგო თოდუა,
ენგურჰესის მშენებლობის გვირაბმშენის სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ორდენოსანი.

თავს არ შევირცხვენთ

ამ დღეებში მრავალი წლის თავდადებული, მკლავმოუღლელი შრომის შედეგად, ასამუშავებელი გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით სამშობლოს სამსახურში ჩადგა და ქვეყნის სახალხო მეურნეობას თავისი პირველი სამრეწველო დენი მისცა რესპუბლიკის ენერგეტიკის ფლაგმანის — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველმა აგრეგატმა.

ეს წარმატება პირველ რიგში ორმაგად სასიხარულო იყო ჩვენთვის, მშენებლებისათვის, რადგან ეგი ქვეყნის ყმელზე დიდი ზეიმის წინა დღეებს ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავს დაემთხვა.

იმ მრავალრიცხოვან მოლოცვებს შორის ყველაზე სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი მაინც, კაცმა რომ თქვას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვა იყო, რომელმაც წლების მანძილზე ჩვენს მიერ გაწეულ საქმიანობას ესოდენ მაღალი შეფასება მისცა.

ჩვენი პარტიის ლიდერის მოლოცვის პასუხად დღეს ჩემი ბრიგადის თითოეული წევრის სახელით მინდა პარტიას და მთავრობას საქვეყნოდ აღვუთქვა, რომ თაეს არც მომავალში შევირცხვენთ ლ. ი. ბრეჟნევის ეს მოლოცვა წარმატებათა საწინდარი იქნება.

მშენებარე უნიკალური თაღოვანი კაშხლის სიმაღლემ უკვე 170 მეტრს მიაღწია. ჯვრის წყალსაცავი ასამუშავებელ ნიშნულამდე შეივსო. ახლა დიდი ხნის ოცნება — ბობოქარი ენგური ქვეყნის სამსახურში ჩადგა.

ოთარ გლიაძე,
კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

გვიხარია, გვეამაყება...

უნიკალური მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის პირველმა აგრეგატმა სამშობლოს ვადაზე ადრე მისცა პირველი სამრეწველო დენი. ამ დიდ გამარჯვებაში იმ ბრიგადის მოკრძალებული წვლილიც არის, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. სადგურის მიწისქვეშა ნაგებობაში ბეტონის ჩასხმა რთული საქმეა, რომელიც ფიზიკურ ძალასთან ერთად პიდროტექნიკური დანადგარების გეომეტრიული პარამეტრების ოსტატურად გამოყენის უნარსაც საჭიროებს. ეს კარგად იცოდნენ ბიჭებმა და ამიტომ ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, რომ მთელი სიზუსტით შეესრულებინათ მინდობილი სამუშაო.

ჩვენს მიერ მოპოვებული დიდი შრომითი გამარჯვების ერთგვარი აღიარება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვა.

უკან დარჩა დაძაბული შრომის ცხარე დღეები. ახლა მთელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოთ, რომ კვლავ ვასახელოთ სამშობლო.

ვაჟა აბესაძე,
ენგურჰესის მშენებლობის ძალური კვანძის მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პარტიული კონფერენცია

ვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ხანგარიშო საარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი დადგა — დღეიდან იწყება რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. ის დიდი და საქმიანი სჯა-ბაასი, რომელიც ორ თვეზე მეტი ხნის წინათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო, ახლა რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე გაგრძელდება. ათასობით დელეგატი — პირველადი პარტორგანიზაციათა წარგზავნილი — თავის ობიექტურ და პრინციპულ შეფასებას მისცემს რაიონული, საქალაქო პარტიული კომიტეტის საქმიანობას, პარტკონფერენციებზე მიტანს შრომითი კოლექტივების ფიქრებსა და განწყობილებას.

ზოგჯერ ამბობენ, პარტიული კრება თუ კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენააო კომუნისტთა ცხოვრებაში. ეს ჭეშმარიტად ასეა. მაგრამ წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მაინც განსაკუთრებულია. იგი იმართება დიდი შრომის, შენების, შემოქმედებითი ძიების დროს, როცა უკვე დაძლეულია მეათე ხუთწლედის უღელტეხილი და კომუნისტთა მთელი ფიქრი, საზრუნავი თავს დასტრიალებს ხუთწლედის დარჩენილ დროს — ორ წელიწადზე ცოტა მეტს, რომელმაც უნდა დაავალიანოს ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მთლიანად და წარმატებით შესრულება. და ეს დრო ხომ მომავალი საანგარიშო პერიოდი იქნება.

ბევრი რამით არის დირსშესანიშნავი გასული საანგარიშო პერიოდი. იგი აღინიშნა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, წარმოების ეფექტიანობასა და შუამობის ხარისხის ამაღლებაზე პარტიული გავლენის გაძლიერებით, საამისოდ ახალი მეთოდებისა და საშუალებების ჰქონია ძიებით, შუამობის ლენინური სტილის დაუფლებისათვის სწრაფვით. ყოველივე ამას დიდად შეუწყო ხელი პარტიის XXV ყრილობის შემდეგ ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე მიღებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესმა დადგენილებებმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და სიტყვებში, ავრეთვე შესანიშნავ მოგონებებში — „მცირე მიწაში“, „აღორძინებასა“ და „ყამირში“ მოცემულმა მითითებებმა და დახასნებმა.

სწორედ გასულ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა სსრ კავშირისა და საქართველოს ახალი კონსტიტუციები, დიდი ზეიმით აღინიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი, სულ ახლახან ვიდღესასწაულეთ ლენინური კომკავშირის სახელოვანი იუბილე.. ერთი სიტყვით, ამ მოვლენების ცენტრში რომ ტრიალებდნენ, ჩვენი ქალაქისა და სოფლის პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო გამოიწრთო პოლიტიკურად, განმტკიცდა ორგანიზაციულად, შეიძინა დადებითი გამოცდილება.

არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდია რაიონული და საქალაქო პარტიული რგოლის მნიშვნელობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში, ადამიანთა პოლიტიკურ აღზრდაში. ამას პრაქტიკულად ადასტურებს აბაშის, გუდაურის, ხობის, ჩოხატაურის, თელავის, მახარაძის და სხვა რაიონული პარტიული კომიტეტების მუშაობის მაგალითი. მოწინავე პარტიული კომიტეტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მათი ინიციატივიანი, შემოქმედებითი მოღვაწეობა თვალნათლივ ჩანს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა, მეჩაიეთა და მევენახეთა, სხვა შრომელების საშემოდგომო ნობათებში.

ამიტომ კონფერენციათა დელეგატების უმთავრესი და უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ ღრმად, საფუძვლიანად გაიაზროს სკკპ XXV ყრილობის შემდეგ შეძენილი გამოცდილება.

რა თქმა უნდა, როცა ამ გამოცდილებაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მუშაობის სტილი, სადღეის პრობლემების, საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისადმი მეცნიერული მიდგომის უნარი. მაგრამ დასამალი როდია ისიც, რომ ზოგი პარტიული კომიტეტი მეტად უინიციატივოდ მუშაობს, რომ იტყვიან, კვლავ ერთ ადგილს ტკეპნის, ვერ ახდენს სასურველ გავლენას ეკონომიკისა თუ კულტურის ამა თუ იმ სფეროზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სათანადო შეფასებას აძლევს უინიციატივო გულგრილი მუშაობის ცალკეულ ფაქტებს. თავის დროზე მკაცრად ითქვა პარტიის ყანწებიანა და წულუკიძის, ამას წინათ კი ქარელისა და სხვა რაიონული კომიტეტების მისამართით. განხორციელდა ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანიც.

ამიტომ ყოველ პარტიულ კონფერენციაზე გულახდილად და ობიექტურად უნდა განვსჯათ გაკეთებულიც და გასაკეთებელიც. ხალი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ღრმა დაინტერესება იმით, რომ ყოველი ნაკლი სწრაფად აღიკვეთოს, დროულად გამოინახოს და აღმოქმედდეს წინსვლის ახალ-ახალი რეზერვები —ეი რა სულიხკვეთებით უნდა ჩაიაროს ყველა პარტკონფერენციამ.

საჭიროზე საჭიროა განსაკუთრებული შეუპოვრობით, მეტი სიმკაცრით ვებრძოლეთ პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს, მეჭრთმეობასა და გამფლანგველობას, ლოთობასა და ბულიგნობას. დელეგატთა გამოსვლებში, კონფერენციების მასალებში კონკრეტულად უნდა ჩანდეს ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებები, საღად უნდა განსაჯონ — რატომ ხდება, რით არის გამოწვეული აგრეთვე ბიუროკრატიზმის, ურთიერთმაპატიებლობის, უპასუხისმგებლობისა და უკონტროლობის ფაქტები.

რა თქმა უნდა, გაწეული საქმიანობის ხწორი ანალიზი პარტიულ კომიტეტებს საშუალებას მისცემს, რომ შემდგომში თავიდან აიცილონ შეცდომები, უფრო მეტად გაავრცელონ დადებითი გამოცდილება, გაუმჯობესონ შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაცია, კადრებთან მუშაობა. კონფერენციებმა ხელი უნდა შეუწყონ პარტიული კომიტეტების მუშაობის იმ დადებითი პრაქტიკის გაფართოებას, რომ უფრო სწორად და შემოქმედებითად იყენებდნენ ეკონომიკის, საზოგადოებრივი ტენდენციების განვითარების ანალიზის თანამედროვე მეთოდებს.

ბუნებრივია, რომ ყოველი კონფერენციის ყურადღების ცენტრში იქნება სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის, ხალხმეწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლის საკითხები. კონფერენციათა მუშაობამ თავიდან ბოლომდე პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: როგორი იყო დახმარება და ხელმძღვანელობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისადმი, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი და როგორ გაუმჯობესდება იგი, როგორ გამდიდრდება, რამდენად ეფექტიანი იქნება მთელი იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა.

საქალაქო პარტიული კონფერენციების დელეგატები შინაპარტიული და აღმშრდელობითი მუშაობის ანალიზისას პირველ რიგში იმჩნელებენ იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა მან წარმოების ეფექტიანობაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებაზე, როგორ ინერგება, ვრცელდება ის შესანიშნავი თაოსნობანი, რომლებიც ყოველდღიურად იბადება და ჩნდება მოწინავე კოლექტივებში.

სასოფლო რაიონების პარტიული ორგანიზაციების კონფერენციებზე საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთორმეტე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მიმდინარეობა.

კონფერენციის საქმიან შედეგს ის განსაზღვრავს, თუ როგორ არის მომზადებული იგი. პრინციპულ და ობიექტურ განხილვას ტონს აძლევს საანგარიშო მოხსენება. და საჭიროა, რომ იგი იყოს არა ერთი ან ორი ადამიანის შემოქმედება, არამედ კომუნისტთა კოლექტიური კვლევის შედეგი, რომ იგი შეიცავდეს არა მარტო რაიონის, ქალაქის სამეურნეო მაჩვენებლებისა და ჩატარებული ღონისძიებების ჩამოთვლას, არამედ მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ღრმა ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში კანდიდატურების განსაზღვრას. ჩვენს არჩევით ორგანოებში უნდა იყვნენ მხოლოდ ღირსეულნი, უკეთესნი.

მომავალი საანგარიშო პერიოდისათვის კონკრეტული საბრძოლო ამოცანების სწორად განსაზღვრა, მათი შესრულებისათვის შინაარსიანი და ენერგიული მუშაობა მტკიცე გარანტია იქნება იმისა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო ღირსეულად შეხვდება პარტიის მომავალ ოცდამეექვსე ყრილობას.

ვადამდე

„სახსნელდამზადების“ გარდანის რაიონულმა გაერთიანებამ გადაჭარბებით შეასრულა მოსახლეობისაგან 1978 წლის ხორცის შესყიდვის წლიური გეგმა. 12.000 ცენტნერის ნაცვლად შესყიდულია და სახელმწიფოს მიეყიდა 12.640 ცენტნერი ხორცი. გაერთიანებას გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე დამატებით სახელმწიფოს მიჰყიდოს 5.000 ცენტნერი ხორცი. „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. მეფარიშვილმა, პარტორგანიზაციის მდივანმა გ. ბიძინაშვილმა.

გორელთა წარმატება

გორის რაიონის მეცნიერებმა წელს გეგმა-ვალდებულებით უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 4070 ტონა ყურძენი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავდაუზოგავად იმუშაეს პირობის შესასრულებლად და 9 ნოემბრისათვის უკვე მოკრიფეს და მარნებს ჩააბარეს 4.099 ტონა ყურძენი, რაც ვალდებულების 100,7 პროცენტია.

ყურძნის კრეფა გრძელდება..

(„კომუნისტის“ კორ.).

უხვი ნადავლით

ფოთი. შორეულ ოკეანეში თევზის 6-თვიანი რეისიდან დაბრუნდა სატრალო თევზჭერის სამმართველოს ცისფერი ტრალური „რუსთავი“.

— ეს მორიგი რეისი სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველ წელისთავს და ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს მივუძღვენით. იგი საგმაოდ ხელმავიანი გამოდგა, — თქვა ტრალერის კაპიტან-დირექტორმა ბ. აბაკელიამ — ყველა სახეში გადაჭარბებით შესრულდა დავალებები და ვალდებულებები, რასთვისაც საზეიმოდ გადმოგვეცა ტრალერთა ეკიპაჟებს შორის დაწესებული გამოსაშვალი წითელი დროშა.

ეკიპაჟის წევრებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ ი. გრიაზნევმა, ელექტრომექანიკოსმა ზ. წულუკიძემ, მატროსებმა ვ. მირგატიამ, ა. ყურაშვილმა, რ. დანეიკამ, ა. პაჭკორიამ, ბ. ამბაღაიამ, მ. ლაგვილავამ და სხვებმა.

ახლა ტრალერი მოკლევადიან პროფილაქტიკურ რემონტს გადის და მალე კვლავ ოკეანეს დაუბრუნდება.

ა. კომპასიძე.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის მოწვევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებს განიხილონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მოამზადონ მათ შესახებ დასკვნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებისათვის.

ამ დოკუმენტების განხილვის წესის საკითხზე იმსჯელეს 10 ნოემბრის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა თათბირზე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის ხელმძღვანელობით გაიმართა. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ.

თათბირში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. რიაბოვმა

10 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებისა და სხვა მუდმივ კომისიათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა.

იმ მიზნით, რომ კომისიებში განხილულ იქნას 1979 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისი ნაწილები სახალხო მეურნეობის დარგების, გეგმისა და ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების, მოკავშირე რესპუბლიკების გეგმებისა და ბიუჯეტების მიხედვით, შექმნილია თექვსმეტი გაერთიანებული დეპუტატთა მოსამზადებელი კომისია. (სკკდესი).

კვლავ დაძაბული შრომის დღეებია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. სამშენებლო სამმართველოს შორის დაწინაურდა თაღოვანი კაშხალის მშენებლობის სამმართველო (უფროსი — პ. ბიჩეკი, პარტბიუროს მდივანი კ. კვირკველია), რომელმაც პირველმა უპატაკა სამშობლოს ხუთწლედის ხამი წლის დავალებათა შესრულება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველომ (უფროსი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ცისკარიშვილი) შეასრულა მომდინარე წლის სამშენებლო სამუშაოთა გეგმა.

წელს პირველად მშენებლობის ისტორიაში კაშხალის მშენებლებმა მიაღწიეს რეკორდულ მაჩვენებლებს, კაშხალის ტანში ბეტონის ჩადების ინტენსიურობამ თვეში 60 ათას კუბურ მეტრს მიაღწია, ხაცემენტაციო სამუშაობისამ — 80 ათას გრძივ მეტრს. ეს უკანასკნელი რეკორდია მსოფლიო ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის პრაქტიკაში.

• • •

ხურათზე: თაღოვანი კაშხალის მეოთხე უბნის მოწინავე მშენებლები (მარჯვნიდან): მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელი რ. გურჯიევი, მებეტონე ა. გაიდუკოვი, მეოთხე უბნის უფროსი დ. კვარაცხელია, სამუშაოთა მწარმოებელი ჯ. ჩხეიძე, მეშახტეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. პავლოვი და ზეინკალი ა. მამუდოვი.

ფოტო შუბითარაძის.

10 ნოემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

„სულ უფრო იგრძნობა ზამთრის მოახლოება. მინდვრები დატოვეს მოსავლის ასაღებმა აგრეგატებმა. საძოვრებიდან წაასხეს ჯოგები. მაგრამ არ ცხრება შრომითი დაძაბულობა სოფლებში, მიწათმოქმედნი და მეცხოველენი მტკიცედ იბრძვიან სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის... ათ თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ხორციის, კვერცხისა და სხვა პროდუქციის შესყიდვა გაიზარდა ქვეყნის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. შესამჩნევად გადიდდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. მაგრამ მეურნეობათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოლიანად ვერ გამოიყენა ზაფხულის შესაძლებლობანი ფერმების პროდუქტიულობის გადიდებისათვის, ხოლო ხაქართველოში, ლატვიაში, ესტონეთში, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის მთელ რიგ ოლქებში შეამცირეს კიდეც პარუტყვის წველადობა და წონა-მატება, — წერს „პრავდა“ მოწინავე წერილში „ფერმაში ხაზამთროდ ემზადებიან“.

მოწინავე წერილში განხილულია მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება, ნაჩვენებია ის გზები, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებებს, როგორ უწყობენ ხელს პარტიული კომიტეტები პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადყოფნას, რისთვისაც ააქტიურებენ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ფერმებში, განამტკიცებენ მათ გამოცდილი კადრებით, ფართოდ აჩაღებენ მეცხოველეთა ქმედითს სოციალისტურ შეჯიბრებას უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

„მეცხოველეებს პასუხსხვაგვარი დრო — ზამთრის ვახანი დაუდგათ. დღე დამკვრელური შრომა ყველა ფერმაში უზრუნველყოფდეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, დაჩგის შემდგომ დინამიკური განვითარებას. მეტი რძე და ხორცი სამშობლოს!“

პარტიის სასოფლო რაიკომი. ფართო, მრავალმხრივია, როგორც თვით ცხოვრება, ის პრობლემები, რომლებსაც ეხე წერილები. თუ როგორ უნდა ხვდებოდნენ ისინი რაიონულ პარტიულ კონფერენციებს, ამ საკითხებზეა ლაპარაკი სკკპ მბინძის რაიკომის (მთაინ ალტას ავტონომიური ოლქი) პირველი მდივნის ვ. აფანასიევის წერილში „მართვის რაიონული რგოლი“ (რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება, მეშაობის ლენინური სტილისათვის“).

ციმბირის ერთ-ერთი სასაიოცნებლო მაგისტრალის — ტაიშეტ-ლენას მუშაკთა სადგ დღეებზე მოგვითხრობს „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტების ვ. ერმოლაევისა და ი. კაზმინის წერილი „მეორე ხაზებზე“ (რუბრიკა — „აღმოსავლეთ რაიონებს — კომპლექსური განვითარება“).

გაზეთის მესამე გვერდი დათმობილი აქვს მშრომელთა წერილებს. მრავალფეროვანია მისი თემატიკა: მკითხველებს ესაუბრებიან სტუდენტი, მუშა, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი, მეცნიერი, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

10 ნოემბერს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა სახელოვანი საბჭოთა მილიციის დღე. „პრავდის“ კორესპონდენტი ო. გუსევი გვიამბობს მის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმზე — უკრაინის დიდქალაქის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამსახურის სხვადასხვა მხარეზე.

მკითხველი ნომერში ნახავს აგრეთვე ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ცხოვრების მრავალ საინტერესო მასალას.

ПРАВДА

ვიეტნამის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

ტაშკენტი, 10 ნოემბერი. (საკუთარი). დღეს ტაშკენტიდან სამშობლოში გაემგზავრა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლე ზუანი და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი. დელეგაცია ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში.

აეროპორტში სტუმრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

ამავე დღეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჰანოიში დაბრუნდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-60 წლისთავი



სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აღზრდის დიდი კერა, მეცნიერული ცოდნის ლამპარი — ჩვენი უნივერსიტეტი გვიმღერის დაარსების მე-60 წლისთავს.

ბაბრძელება. დასაწყისი იხილეთ „კომუნისტის“ 10 ნოემბრის ნომერში.

ლ. ი. ბრეჟნევი

ყაზახეთი

მარტო „ყაბინეტური“ ხელმძღვანელობა არ ყმარა, ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ხალხთან, უნდა ჩავდიოდეთ ადგილებზე. საკუთარი თვალით ვნახოთ წარმატებანიც. წამოჭრილი სიძნელეებიც და, როცა საჭიროა, ოპერატიულად ჩავერიოთ. როცა ასეთ სტილის სადგურში ხალხს გაეპაექრები. ტრაქტორისტებთან ერთად ჩამოჯდები ბრიგადის ქვაბთან, ძალზე ბევრ რამეს გაიგებ და ბევრ რამეს ისწავლი. სწავლა კი ყოველთვის სასარგებლოა, ხოლო როცა ეს-ეს არის იწყება ისეთი დიდი ოპერაცია, როგორიც არის ყამირის გატეხვა, სრულიად აუცილებელია.

თანაც, ამგვარი შემთხვევები, რომლებზეც ახლა ვიამბეთ, უბრალო ეპიზოდებად არ ჩაიწერება. ხშირად მათ დიდ განზოგადებამდე მივყავართ. ალმა-ათაში რომ დავბრუნდი, პურის დამზადების საკითხი ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გავიტანე და წესაბამისი გადაწყვეტილებაც მივიღეთ. მე დავუკავშირდი სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილეს ნ. ა. გუნდობინს და გავაცანი ეს მწვავე პრობლემა. მაშინ იგი თითქმის სულ ყამირზე იყო და, არსებითად, ცელინოგრადის მთავარ სადისპეტჩერო პუნქტს მეთაურობდა. დღედაღამ ადევნებდა თვალყურს ტვირთის გაგზავნას, ვაგონების ბრუნვას და საკმაოდ სწრაფად ეხმაურებოდა ხოლმე ჩვენს თხოვნას. ასე რომ, „წვრილმანი“ ეპიზოდის ექო, შეიძლება ითქვას, მთელ ყამირს მოედო.

დავუბრუნდები ატბასარის ეპიზოდს. იმ წელს სულშემხუთავი პაპანაქება იყო. ვიღაცამ თქვა. მოდით, დამზადების პუნქტიდან ყველანი მცინარეზე წავიდეთ და ვიბანაოთო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ნაპირზეც ისევ საქმეზე ჩამოვარდა ლაპარაკი. რაიონის ხელმძღვანელებს ვუთხარი:

— დიდი სიძნელეების მიუხედავად, თქვენი რაიონი პურის ჩაბარების მხრივ შეიძლება მოწინავეთა შორის გავიდეს. ამისთვის ყველა შესაძლებლობა გაქვთ.

მე განუწყვეტლივ გადევნებდი თვალს, თუ რა ხდებოდა ატბასარის დამზადების პუნქტში. იძულებული გავხდი მეთხოვა რესპუბლიკის დამზადების მინისტრისათვის, სასწრაფოდ ჩასულიყო ატბასარში პრაქტიკული დახმარების გასაწევად. ხშირად ვურეკავდი იქ, ვეკითხებოდი, რამდენი მარცვლეული მიიღეს, რამდენი გაიგზავნა, რა დახმარება სჭირდებათ. ეს ფასდაუდებელი პური მთლიანად შევინარჩუნეთ, და შემდეგ, როცა ატბასარელებმა — და სწორედ მათ გამოიჩინეს ზეგეგმითი ჩაბარების ინიციატივა — თავიანთი ვალდებულებანი შეასრულეს, როცა „პრავდამ“ დაწვრილებითი სტატია გამოაქვეყნა მათი თაოსნობის (კარგი, საქმიანი თაოსნობის) შესახებ, გულახდილად ვიტყვი, ვიგრძენი, რომ პირადი წილი მედო მექანიზატორების, რაიკომელების, დამამზადებლების, რკინიგზელების წარმატებაში. ეს კი ძვირად ფასობს.

1954 წელს თავისი ისტორიის მანძილზე ყაზახეთმა პირველად დაიბინავა სამშობლოს ბეღლებში თითქმის 250 მილიონი ფუთი მარცვლეული—150 მილიონით მეტი, ვიდრე მანამდე ყველაზე ხელსაყრელ წლებში. და ჩვენ ყველანი, ყამირელები, ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობდით თავს ამ გამარჯვების გამო.

7.

ყამირზე შეტევა 1954 წლის ზემოდგომიდან კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაჩაღდა. უკვე შექმნილი 90 ახალი საბჭოთა მეურნეობის დამატებით უნდა შეგვექმნა კიდევ დაახლოებით 250. და რამდენჯერაც იზრდებოდა საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, იმდენჯერვე გვემატებოდა საზრუნავი.

მაგრამ ამ დროისათვის რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ყამირზე მიმდინარე მუშაობის გამოცდილებაც შეიძინა და ამასთანავე დაისახა მოქმედების საკმაოდ მკაფიო პროგრამა, რომელიც ხანგრძლივი პერსპექტივისათვის იყო გათვალისწინებული. ყაზახეთის სოფლის მეურნეობის თანამედროვე სახის ბევრი ნიშან-თვისება, მისი დარგობრივი სტრუქტურა და განვითარების ძირითადი მიმართულებანი უკვე მაშინ, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ განისაზღვრა და სულ უფრო ნათელი ხდებოდა.

რა გვაწუხებდა განსაკუთრებით მაშინ, რომელ საკითხებს ვწყვეტდით უწინარესად, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ჩვენი ზრახვების განხორციელებისათვის — ამის თაობაზე ნაწილობრივ გიამბეთ ჩემს წიგნში „სკკპ აგრარული პოლიტიკის საკითხები და ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისება“. თავს არ შეგაწყენთ და აღვნიშნავ იმ წლების მხოლოდ ძირითად ხაზებსა და საპროგრამო ამოცანებს:

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, აგრეთვე ძველ სახნავ მიწებზე მოსავლიანობის გადიდების გზით მემარცვლეობის დარგი გადაგვექცია ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მთავარ დარგად, წინა პერიოდთან შედარებით სულ ცოტა ათჯერ გაგვეზარდა აქ მარცვლეულის წარმოება და, ამრიგად, გადაგვექცია რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების ახალ უდიდეს რაიონად;

შეგვეშუშავებინა და თანდათანობით დაგვენერგა ყამირზე მიწათმოქმედების მეცნიერული სისტემა, რომელიც მაქსიმალურად იქნებოდა მომარჯვებული ამ ზონის ურთულეს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან და შეგვეინარჩუნებდა და გაგვიმრავლებდა აქაური მიწების ბუნებრივ ნაყოფიერებას;

ვქმნიდით რა ქვეყანაში უდიდეს მემარცვლეობის საბჭოთა მეურნეობებს, ყოველ მათგანში აგვეშენებინა ყოველივე აუცილებელი — როგორც კარგად აღჭურვილი საწარმოო ობიექტები, ისე სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების სრული კომპლექსის მქონე ქალაქური ტიპის კეთილმოწყობილი დაბები. მთლიანი რეორგანიზაცია მოგვეხდინა, გაგვეფართოვებინა, ახალ მეურნეობათა ტიპის მიხედვით გარდაგვექმნა რესპუბლიკის ყველა ძველი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა;

უმოკლეს ვადაში დაგვეკავშირებინა ერთმანეთთან ყამირის ოლქები რკინიგზების, მაგისტრალური გზატკეცილების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს შორის გზების ქსელით, გაგვეყვანა ელექტროგადამცემი, სატელეგრაფო, სატელეფონო და რადიოკავშირის ხაზები, აგვეგო საკვანძო ადგილებში დიდი ელევატორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამომშვები და შემკეთებელი ქარხნები, ათობით სხვა საწარმო და ამ გზით გადაგვექცია ჩრდილოეთ ყაზახეთი მაღალგანვითარებულ ეკონომიკურ რაიონად, რომელიც იმოქმედებდა როგორც ერთიანი სამეურნეო ორგანიზმი;

მარცვლეულის წარმოების ზრდის, მისი ნარჩენების გამოყენების საფუძველზე, საკვები კულტურების, კერძოდ, სიმინდის ნათესების მკვეთრი გადიდების ხარჯზე, აგრეთვე ნათესი ბალახების მოსავლიანობის გადიდებისა და სათიბების გაუმჯობესების გზით ძირფესვიანად განგვემტკიცებინა საკვები ბაზა და უზრუნველგვეყო მეცხოველეობის სწრაფი განვითარება. პერსპექტივაში ამ დარგის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება გაგვეზარდა სულ ცოტა ორჯერ;

რესპუბლიკის სამხრეთში მელიორაციის მეშვეობით ინტენსიურად გაგვევითარებინა მებრინჯეობა, მებამბეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა და მევენახეობა.

იოლი არ იყო ეს პროგრამა. თანაც მისი განხორციელება ნაწილ-ნაწილ კი არა, ერთბაშად გვიხდებოდა. და, ცხადია, უნდა წარმოგვედგინა ყველა სიძნელე, რომლებსაც მაშინ ვაწყდებოდით, და მომავალშიც წავაწყდებოდით. ძალზე საჭირო იყო, რომ ჩვენი რწმენა და ენერგია გადასცემოდა ყველას, ვისთანაც მაშინ გვიწევდა მუშაობა.

ავიღოთ მეცხოველეობა. საქმაოდ ბევრ ამხანაგს, რომლებიც ყველაფერს პურისათვის ბრძოლით ამართლებდნენ, მხედველობიდან რჩებოდა სოფლის მეურნეობის სხვა დიდმნიშვნელოვანი დარგები.

ჩვენ გადაჭრით მოვკიდეთ ხელი, მაგალითად, მეცხოველეობის ორგანიზაციის გარდაქმნას. ყოფილა, რომ ჩემთვის უსაყვედურებიათ კიდეც, მიტისმიტად ხშირად იმეორებო ერთხელ თქმულს: ვითომდა, ისედაც ყველაფერი ნათელია, რა საჭიროაო ერთი და იგივეს ლაპარაკი? ნათელი კია. მაგრამ საქმე ხელა მიიწევდა წინ. ხოლო ზოგჯერ საერთოდ ადგილიდან არ იძვრებოდა. მაგალითად, დიდი ჯაფა დაგვდგა, რომ დაგვენერგა სიძინდი,— ყაზახეთისათვის პრაქტიკულად ახალი კულტურა. ჩვენ განზრახული გვქონდა იგი სამარცვლედ დაგვეთესა, მაგრამ ნათესების დიდი ნაწილი მწვანე მასად იყო გათვალისწინებული. ეს ადგილობრივი ამხანაგების ჩუმ წინააღმდეგობას იწვევდა: ეს რა არის, სახნავში „ბალახი“ მოვიყვანოთო? და კვლავ და კვლავ საჭირო ხდებოდა კამათი, დარწმუნება, იმის პრაქტიკულად ჩვენება, თუ როგორ უნდა დათესოს, დაამუშაონ, აიღონ მოსავალი, დაასილოსონ სიმინდი.

ამ კულტურის ფასი კარგად ვიცოდი უკრაინისა და მოლდავეთის მაგალითით. მაგრამ, რამდენადაც აგრონომი ვიყავი, გადავწყვიტე ერთხელ კიდევ მოვთათბირებოდი ვინმეს. წერილი გავუგზავნე ჩემს მეგობარს, განთქმულ „სიმინდის ჯადოქარს“ მ. ე. ოზერნის დნეპროპეტროვსკის ოლქის სოფელ მიშურინ როგში. მარკ ესტატეს ძისგან მალე მომივიდა პასუხი ფასდაუდებელი რჩევა-დარიგებით. ჩემი თხოვნით, გვალეიანი ყაზახეთისთვის გამოსადეგი ჯიშების თესლიც გამომიგზავნა. სანქმე ადგილიდან დაიძრა, მაგრამ ჩვენ კიდევ არაერთხელ გაგვიტანია ეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე და მოგვიწყვია სემინარები სიმინდის თაობაზე.

პირველი გაზაფხულის სასინჯმა ნათესებმა იხარა და 1955 წელს ამ კულტურას უკვე 700 ათასი ჰექტარი დავუთმეთ. მეცხოველეობის მეურნეობა შეიძლება ხელა, მაგრამ მაინც დადგა აღმავლობის გზაზე და ამაშიც, ისევე როგორც სხვა საქმეებში, სწორედ თანამიმდევრობა დაგვეხმარა. 1955 წლის მარტში რესპუბლიკურ აქტივზე ვთქვი:

— არის საკითხები, რომლებსაც კვლავ და კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ხოლმე. რაზე მეტყველებს ეს? მე მგონია, ერთი მხრივ, ამ ამოცანის საარსებო მნიშვნელობაზე და მეორე მხრივ, მისი გადაწყვეტის უდიდეს სირთულეზე. როცა ჩვენ ხშირად ვუბრუნდებით ასეთ პრობლემებს, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სერიოზული განზრახვები გვაქვს. ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად, ურყევად და უყოყმანოდ გავიტანთ ჩვენსას როცა ჩვენი იდეების განხორციელებისათვის ვიღვწით. ეჭვი არ არის, რომ დადგება დრო, როცა ეს პრობლემები დღის წესრიგიდან მოიხსნება. და მაშინ — ეს ჩვენ მშვენივრად გვესმის — წამოიჭრება ახალი საკითხები, ახალი ამოცანები, კიდევ უფრო მასშტაბური და დიდებული.

ზოგიერთ ამხანაგს კი ეს არ ესმოდა. ყამირის პირველი ჰური მათ ლამის ჩვენი მუშაობის დასასრული ეგონათ. მათ სულის მოთქმის შესაძლებლობა იყოსეს, „ქადრების ქადრილი“ გამართეს, დაიწყეს დასაწინაურებელი მუშაკების დასახელება. სრულიადაც არ ვამბობ, თითქოს ეს მათ არ დაემსახურებინოთ. პირიქით, მახსოვს და დიდ პატივსაც ვცემ ყამირის საბჭოთა მეურნეობების პირველ დირექტორებს, მათ დიდი ტვირთი ზიდეს თავიანთი მხრებით, ბევრი მათგანი შემდეგ წარმოების დიდ ორგანიზატორად გაიზარდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ნაადრევი იყო ადგილებიდან ხალხის მოწყვეტა.

უეცრად ერთ-ერთმა მათგანმა თევდორე ტროფიმეს ძე მორგუნმა ისეთი პრეტენზიით მომმართა, რომელსაც ჩვეულებრივს ვერც კი ვუწოდებთ: მას უფრო მაღალი პოსტი შესთავაზეს, მაგრამ ერთი ამბავი ატეხა, არ მინდაო. ამ კაცზე დაწვრილებით ლაპარაკი საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგან შემდგომში თვითონ აღწერა ყველაფერი წიგნში „ფიქრები ყამირზე“. მისი საბჭოთა მეურნეობაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ხშირად ვასახელებდით ნიმუშად, ჰოდა, დირექტორს რაიაღმასკომის თავმჯდომარეობა შესთავაზეს. თითქოს პატივია, მას კი გული დასწყდა: ძლივს დააყენა ფეხზე მეურნეობა, ხალხს შეეჩვია, გეგმა დასახა, როგორ გადაექცია საბჭოთა მეურნეობა იაფი მარცვლეულის ნამდვილ ფაბრიკად, ახლა კი ყველაფერი უნდა მიატოვოს. იძულებული გაზდი პირდაპირ ჩავრეულიყავი, და აი, რა ვთქვი ამის გამო დიდ თათბირზე:

— ჩვენ ვერ დავეთანხმებით პარტიის ცკ-ს ჩეტავის საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებას გადაყვანის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ „ტოლბუხინსკის“ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მორგუნს აწინაურებენ. ნუ ვიჩქარებთ ხალხის გადაყვან-გადმოყვანას. მათ უნდა დავეხმაროთ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში, ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისი მიწათმოქმედების სისტემის ათვისებაში, საშუალება მივცეთ წარმატებით დაამთავრონ დაწყებული საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ, თანაც აუცილებლობის შემთხვევაში, დავაწინაუროთ უფრო მაღალ პოსტზე.

მეორე მაგალითი. ევდოკია ანდრიას ასული ზაიჩუკოვა, ყამირზე რომ ჩამოვიდა, ორმოცდაათ წელს იყო მიწეული. მაგრამ არ დაუკარგავს ახალგაზრდული ხალისი, ნებისყოფა. ჭკვიც ხასიათი და, რაც მთავარია, კომუნისტისა და პატრიოტის მკაზნებარე გული ჰქონდა. ღრმად შეგნებულმა მისწრაფებამ, რომ ყველაზე საჭირო, დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო რამ გაეკეთებინა ქვეყნისათვის, იგი ჩვენთან მოიყვანა. იმის ძალა მიანიჭა, რომ სტეპური საბჭოთა მეურნეობა „დურეჩნი“ შეექმნა. მალე ეს ქალიც დაფნაურეს, მაგრამ, ახალ ადგილას ცოტა ხანს მუშაობის შემდეგ, მან ასეთი განცხადება დაწერა:

„დაბეჯითებით ვთხოვ პარტიის რაიონული კომიტეტის წევრებს გამათავისუფლონ რაიკომის პირველი მდივნის სამუშაოსაგან. ამას იმიტომ გთხოვთ, რომ, ჩემი აზრით, სიცოცხლის დარჩენილ წლებში მეტ სარგებლობას მოვუტან პარტიასა და ყველა ადამიანს კონკრეტულ სამეურნეო სამუშაოზე. გთხოვთ, გამგზავნოთ მარჩენილ საბჭოთა მეურნეობაში და ვალდებულებას ვკისრულობ, კომუნისტებთან და მუშებთან ერთად, ცელინოგრადის ოლქის მოწინავე მეურნეობათა რიგში ჩავაყენო იგი“.

მას სიტყვა არ გაუტეხია: საბჭოთა მეურნეობა „იუჟნი“ მის დროს ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა. ჩვიდმეტი წელი შეალია ევდოკია ანდრიას ასულმა ახალ მიწას, რომელიც ასე შეიყვარა. და როცა კვდებოდა, საავადმყოფოში მისულ მეგობრებს მხოლოდ ერთი რამ სთხოვა:

— ნუ შემოღობავთ ჩემს საფლავს, არ მინდა რამე მაშორებდეს სტეპს...

ასეთი ადამიანები პარტიისა და ხალხის ოქროს ფონდია, სიამაყეა. და ჩვენ განსაკუთრებით ვუფრთხილდებოდით მათ. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად არავის არ ჰქონდა უფლება სხვაგან გადაეყვანა სამუშაოდ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, და მით უმეტეს გაეთავისუფლებინა ისინი. რაც მახსოვს, სულ ათიოდე დირექტორი შეცვალეთ, რომლებმაც ვერ ზიდეს ყამირის ტვირთი. იგივე პოლიტიკას ვადექით სხვა კადრების მიმართაც: აქტიურად ვუჭერდით ხელს საუკეთესოებს, ვეუცვლებოდით ნიჭიერებს და გადაჭრით ვიშორებდით თავიდან აშკარად უპერსპექტივო, ინერტულ ადამიანებს.

დიდი პურის გამო საერთო ყურადღება მიიპყრო ყამირმა. პრესაში ახმაურდა გამარჯვების ნოტები, ჩვეულებად იქცა ჩვენი ქება, მოლოცვა, მაგრამ ჩვენ გვესმოდა, რომ მოდუნება არ შეიძლებოდა. ადრე იყო განცხრომისათვის თავის მიცემა. ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმოდა, რომ უნდა დაგვეჩქარებინა ელევატორებისა და საწყობების მშენებლობა, რაც შეიძლება მალე გამოგვეყვანა ხალხი კარვებიდან და მიწურებიდან,— ეს სულ უფრო ძნელი უბანი, ვიწრო ადგილი ხდებოდა.

ყველაფერი ცარიელ-ტარიელ ადგილას უნდა აღგვემართა, მერე რისგან? გარშემო რომ ტყე ყოფილიყო, ეს საკითხი არ წამოიჭრებოდა. მართალია, ყამირზე ვიღებდით ასაწყობ სახლებსა და საშენ მასალას, მაგრამ არ გვყოფნიდა. განზრახვები უსწრებდა შესაძლებლობებს და, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა ადგილობრივი რესურსები, მაგრამ ყველანი როდი იჩენდნენ ჯეროვან გერგილიანობასა და საზრიანობას.

ხანდახან ჩავიდოდი რაიცენტრში და ვიკითხავდი: როგორ მიდის მშენებლობა? მპასუხებდნენ: ცუდად. რატომ? აგური არა გვაქვს. მაგრამ აი, მივდივართ რაიკომის მდივანთან ერთად ქუჩაში და ვხედავთ მკვიდრ შენობებს, რომლებსაც ფრონტონებზე აწერია თარიღები — 1904, 1912 წელი... ამ ადგილებში კი აგურის ქარხნები, ზუსტად ვიცი, არც ყოფილა და არც არის.

— ვინ ააგო ეს შენობები?

— ერობამ.

— სად შოულობდნენ აგურს?

— აი იქ, სტეპის ხევში, საველე ღუმელი ააგეს და-იქ ხდებოდა გამოწვა. ეს სკოლაც იმ აგურით არის ნაგები....

— მაშასადამე, ერობას ყველაფრის მოგვარება შეეძლო, თქვენ კი, რაიკომსა და რაიაღმასკომს, არ შეგიძლიათ? უკაცრაული პასუხია, მაშ რის ხელმძღვანელები ვართ? ირგვლივ სავსეა თიხა. გააკეთეთ საველე ღუმელები. აქა-იქ პატარა ქარხნებიც ააშენეთ, ასი წელიწადი გეყოფათ.

— ახლა ქარხანაც მოგვინდომეთ! რისი ამშენებლები ვართ?!

გული მოგვივა: როგორ წაახდენს კაცს პასიურობა!

მოსკოვის მახლობლად, ბარვიხში, ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩინებულმა აგურის ციხე-დარბაზმა — აქ პიონერთა ბანაკი იყო განლაგებული. ვიკითხე, რა შენობაა-მეთქი, მიპასუხეს: ვიღაც ბარონესას მამულიაო. როგორ ააშენეს-მეთქი? ძალიან კარგადაო. — მითხრეს. ააგო ქალბატონმა აგურის ქარხანა, აგურით კი ეს ქალაქგარეთა სახლი და სასამსახურო ნაგებობანი აიშენა. მერე ქარხანა გაყიდა და მთლიანად აინაზღაურა მშენებლობის ხარჯები. ცხადია, ყველაფერი თვითონ კი არ მოიფიქრა, მოურავი ჰყავდა ჭკვიანი. აი ასეა. ჩვენში კი ხშირად დღემდე მთელ კოლექტივებს, გამოცდილ ხელმძღვანელებს, ინჟინრებს, მშენებლებს, გრანდიოზულ საქმეებს რომ ეპოტინებიან, უბრალო აგურის ქარხანა ვერ აუგიათ. სულ სახელმწიფოს მისჩერებიან ხელში, საგეგმო კომიტეტს უტალახებენ კარს.

მახსოვს, ყამირზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახელოსნოებისთვის ზოგ ძველ ცხენსაშენს დავათმობინეთ მშვენივრად ნაგები საჯინიბოები რომლებიც იგივე საველე აგურით აუგიათ. როცა ამას ვუამბობდი ხოლმე, როცა დავტუქსავდი და შევავრცხვენდი, გავიხედავდი და, გერგილიანი მეურნინი მაშინვე აწყობდნენ თავიანთი აგურის წარმოებას. მერე მადლობას მეუბნებოდნენ, ჩვენით როგორ ვერ მივხვდითო ადრევე.

ადგილობრივ საშენ მასალას განეკუთვნებოდა ლელიტიც. როცა შევიტყე, რომ თადარიგიანმა ხალხმა უკვე აიშენა მშვენიერი სახლები ლელიტის ფილებით, სანახავად წავედი და ფრიად კმაყოფილი დავრჩი ამ ბინებით — ჩინებული სახლებია, პირველ წლებში გამოგვადგება. მაშასადამე, საჭიროა დიდი მასშტაბით ლელიტის დამზადების ორგანიზაცია და მისი ფილების წარმოების მოგვარება. გადავხედე რესპუბლიკის რუკას. სად იყო აღნიშნული ლელიანები, და გადავწყვიტე თვითონ მენახა ადგილზე. მდინარე ილის ხეობით თვით ბალხაშმდე ვიფრინე. ასი მეტრი სიმაღლიდან ლელიანის უზარმაზარი ფართობები შევნიშნე!

მალე ყველგან, სადაც კი იყო ლელიანი, დავიწყეთ მისი დამზადება — მდინარეების ნაპირებზე, სტეპის უამრავ ტბაში. ჭარხნებმა სწრაფად ოამზადეს მარტივი, მოსახერხებელი და მწარმოებლური დაზგები, რომლებიც ლელს აქუცმაცებდნენ და მკვრივ ფილებად წნეხავდნენ. ამ ფილებით ნიბის-მიერი კონფიგურაციის შენობის აწყობა შეიძლებოდა. შემდეგ მათ შეაბათქაშებდნენ, თეთრად შეფეთქავდნენ და ჩინებული თბილი სახლები გამოდიოდა. როცა ამ საქმეს ალმა ათიოდეთ, ალმა-ათის მახლობლად ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ლელიტის მშენებლობის რესპუბლიკური სემინარი მოვიწვიეთ.

მშენებლობის პრობლემებს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა. შემორჩენილია ჩვენი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი იმის შესახებ, თუ რა ჰქონდა რესპუბლიკას. როცა ყამირის დაპყრობას შეუდგა. ძალები დაჩაჩსული იყო. ოცდაათზე მეტი სუსტი სამშენებლო ორგანიზაცია სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას ექვემდებარებოდა. ყველას ერთად ჰქონია 59 ბიტონსარევი, 6 კომკურა-ამწე, 58 ჯრანსპორტიორი, 5 ავტოსატვირთველა და ჰყოფილა სულ 5.7 ათასი მუშა. ახალი გეგმები რომ შეგეცესრულებინა, სულ ცოტა ათჯერ მეტი ხალხი უნდა გვყოლოდა!

რა თქმა უნდა, საშენი მასალები, განსაკუთრებით სამშენებლო აგური, გვიჭირდა. მე მივმართე ჩვენი ზოგიერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. და, უნდა ვთქვა, რომ ისინი გაგვიმართეს ხელი: წამოვიდა აგური სომხეთიდან, საქართველოდან, ესტონეთიდან და ბევრი სხვა ადგილიდან. ერთი სიტყვით, ჩვენ ვწყვეტდით თანაც წარმატებით ვწყვეტდით ამ წამოჭრილ პრობლემებს.

8.

ყაზახეთის მწერალთა ყრილობა 1954 წლის შემოდგომაზე გაიმართა. იგი დიდ მოელენად იქცა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

მე მანამდეც მემუშავა ეროვნულ კულტურასთან დაკავშირებულ საქმეებზე. ჯერ კიდევ მოლდავეთში მივხვდი: თუ რესპუბლიკაში ცხოვრობ, ხალხის ზნე-ჩვეულებები და ადათ-წესები, მისი ისტორია, მხატვრული შემოქმედებაც უნდა იცოდე. ჩავიდით თუ არა ალმა-ათაში, წიგნებს ჩავუჯექი, ხშირად ვხვდებოდი ყაზახ ლიტერატორებსა და ხელოვანებს, დავდიოდი თეატრში. თავიდანვე მიყვარდა პოეზია და ბევრს ვკითხულობდი ყაზახი პოეტების ლექსებს. განსაკუთრებით აბაის, რომელმაც მომხიბლა ლირიზმით, ხალხური სიბრძნით, ცხოვრების ღრმა წვდომით. აბაი ყაზახ ხალხს ასწავლიდა არ შეყუჟულიყო საკუთარ ნაჭუჭში. ადგილზე არ გაჩერებულიყო, გაემდიდრებინა თავისი შემოქმედება რუსი და სხვა ხალხების მიღწევებით. ეს საჭიროა ჩვენს დროშიც. ყოველი საკუთარ თავში გამოკეტილი ეროვნული კულტურა გარდაუვალად აგვებს. ზოგადკაცობრიულ თვისებებს ჯარგავს. სამწუხაროდ, ეს ყველას და ყოველთვის არ ესმის.

სოციალიზმმა დიდი ხანია დაამტკიცა: რაც უფრო ინტენსიურად იზრდება თითოეული ეროვნული რესპუბლიკა. მით უფრო ნათლად ვლინდება ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ყაზახეთი, შესაძლოა. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი იყოს. სრულიად გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყამირმა იგი „ასი ენის პლანეტად“ აქცია. ყაზახური კულტურა ისისხლხორცებდა ყოველივე საუკეთესოს ეროვნული კულტურებისაგან და ამ გზით ვითარდებოდა. კარგია ეს თუ ცუდი? ჩვენ, კომუნისტები, ვამბობთ: კარგია, ძალიან კარგი! რადგან ეროვნული ტრადიციებისა და თავისთავადობის უმნიშვნელოვანეს საკითხს ვერ გავამარტივებთ, მას ვერ ამოწურავს მარტოოდენ ეთნოგრაფია და ყოფითობა: რუსეთში — ქოხები, „ხოროვოდები“ და კოკოშნიკები, ყაზახეთში — იურტები და ცხენის რემები.

ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ვცდილობდით ყოველდღიური დახმარება გაგვეწია შემოქმედი ბტტელიგენციისათვის. ყამირის საქმეთა სიძნელეებს მრავალგზის სწორედ ამ დროს შეეჭიდა ყაზახეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. გამახსენდა გაზეთ „ყაზახ ადებიეტის“ გამოქვეყნება. თარგოდ გაჩაღდა მზადება მოსკოვში ყაზახური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის. ესეც სჯამათო გახდა, ზოგ-ზოგები ყურადღებას უთმობდნენ მხოლოდ აკინების ზეპირ შემოქმედებას. რესპუბლიკის ლიტერატურაში კი ღრმა თვისებრივი ცვლილებები მიმდინარეობდა, რომლებსაც იწვევდა თვით სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობა. ყაზახი შემოქმედი ინტელიგენციის ზრდა. გაჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც იცოდა და უყვარდა არა მარტო ძველი ტრადიციები და სიმღერები, არამედ მთელი საბჭოთა, მსოფლიო ლიტერატურა. ესენი იყვნენ რუტინისაგან თავისუფალი ადამიანები და ჩვენც მათი მხარდაჭერა გვმართებდა. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ ვაგვეჯანსაღებინა თვით ატმოსფერო შემოქმედებითს კავშირებსა და ინტერლოგენციის წრეებში. უნდა შეგვეკავშირებინა ისინი, გაგვეერთიანებინა მთელი ძალები რესპუბლიკის წინაშე წამოჭრილი უზარმაზარი ამოცანების გადასაწყვეტად.

შევნიშნავ, რომ „წმინდა ეროვნული ტრადიციების“ დაცვის საბაბით ეროვნული განკერძოების მომხრენი ჩვეულებრივ შენიღბულად გამოდიან ხოლმე და იშვიათად ლაპარაკობენ გულახდილად. პირიქით, ისინი მოხერხებულად სარგებლობენ მოწინააღმდეგეთა ყოველგვარი შეცდომით და სურთ, როგორც იტყვიან, მამა აბრამის ბატკნად მოგაჩვენონ თავი. მახსოვს, რა აურზაური ატეხეს ვინმე კენესარას როლის გარშემო. თავდაპირველად იგი გამოაცხადეს პროგრესულ მოღვაწედ, რომელიც რუსეთთან ყაზახეთის შეერთებას მოითხოვდა. შემდეგ ნახეს დოკუმენტები, რომელთა თანახმად იგი რეაქციონერი ყოფილა და არ სურდა გაერთიანება... არ მინდა ძველი ისტორიის ქექვა და არც ამ დარგის სპეციალისტად მიმაჩნია თავი. მე სხვა რამ მაწუხებდა. ბატალიებმა, რომლებსაც თავს გვახვევდა ზოგიერთი დემაგოგი, ის გამოიწვია, რომ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიც არიან მწერალი მუხტარ აუეზოვი და აკადემიკოსი ჯანშ სატპაევი. იძულებული გახდნენ რესპუბლიკა მიეტოვებინათ.

ჩვენ დავეხმარეთ მათ, რომ ალმა-ათაში დაბრუნებულიყვნენ. შესანიშნავმა მეცნიერმა კანიშ იმანტის ძე სატპაევმა დიდი ღვაწლი დასდო ყაზახეთის საწარმოო ძალების განვითარებას. მუხტარ ომარხანის ძე აუეზოვი ყაზახური ლიტერატურის აღიარებული კლასიკოსია. მადლიერებით ვიგონებ ამ ადამიანებს. რომლებსაც ხშირად ვხვდებოდი, მჭიდროდ ვთანამშრომლობდი და საერთოდ ვმეგობრობდი. საუბრის დროს ჩვენ მუდამ ვამბობდით ხოლმე, რომ ყოველგვარი უკიდურესობა მავნეა. არ შეიძლება არც ზეპირი შემოქმედების დავიწყება, რომელიც ხალხს უყვარს. „ლენინგრადელნო, ჩემო შვილებო!“ — ჯამბულის ეს ხატოვანი სტრიქონები მთელ ჩვენს ქვეყანას ახსოვს. დაე ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს აკინების შემოქმედება ყაზახური ეროვნული და საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის საერთო კალაპოტში.

კიდევ ერთი რამ მაფიქრებდა: როგორ მიმეპყრო შემოქმედი ინტელიგენციის ყურადღება ყამირის თემისადმი? დახეთ, ვუთხარი მწერლებს ცენტრალურ კომიტეტში შეხვედრაზე, რა ამბები ხდება ჩვენ თვალწინ. ამოძრავდა ადამიანთა უზარმაზარი მასები, იქმნება მრავალეროვანი კოლექტივები. ახალი ოჯახები. ვაჟკაცდება ხასიათები. იწრთობიან ჩვენი დროის გმირები. ყაზახეთში პური ყოველთვის ნუგბარი იყო და ძვირად ფასობდა. ძველად მოლებიც კი ამბობდნენ: „ყურანი საღვთო წიგნია. მაგრამ შეგვიძლია ყურანზე შევდგეთ, თუ პურის ნაჭერს ვერ ვწვდებითო“. და აი ახლა, ეს მხარე პურის მხარე ხდება. იცვლება ცხოვრების მთელი ყაიდა, ყალიბდება ადამიანის ახალი ფსიქოლოგია. ვინ ყოველივე ამის სიდიადე და დრამატიზმი არ აღელვებს ჭეშმარიტ ხელოვანს? ჩვენ ვერაფინ ვერ გაგვიგებს ახლა, ვერ გაგვიგებს მომავალშიც, თუ ეს ეპოქა მკაფიოდ არ აღიბეჭდა ისტორიისათვის.

მაშინდელ ვითარებაში საჭირო იყო, რომ რესპუბლიკის მწერალთა ყრილობა მთელი საბჭოთა კულტურის ზეიმი გამხდარიყო. ჩვენ ალმა-ათაში მივიწვიეთ მ. ა. შოლოხოვი, ლ. მ. ლეონოვი, კამილ იაშენი, მირზო ტურსუნ-ზადე, მაჯსმ ტარკი და სხვა ცნობილი მწერლები. ამის შემდეგ ყამირის ხშირი სტუმრები გახდნენ კომპოზიტორები, მსახიობები,

ყამირი

(გაგრძელება)

ვინც ასეთ დროს სტეპში არ ყოფილა, ვერ გაიგებს მიწათმოქმედის გულისწუხილს. უცნაური გრძნობა გეუფლება: გაზაფხულობით სტეპში ზოგჯერ ზღვად მოვარდებოდა ხოლმე წყალი, ხალხი თავის ბრიგადებამდე ნავით მიდიოდა. მაგრამ ჩაივლიდა გაზაფხულის წყალდიდობა და — მორჩა! გავარვარებული მზე დილიდანვე იწყებდა თავის გამატიალებელ მოქმედებას, ნელა მიცურავდა უფერულ, გახუნებულ ცის თაღზე და აუტანლად აცხუნებდა, მწუხრისას კი მეწამული მზე ზანტად იძირებოდა ჰორიზონტის მღვრიე ნისლში. ხეირიანად სულის მოთქმასაც არ გვაცლიდა, და კვლავ ამოდრთდა მეორე დღეს და ისევ წვავდა და ბუგავდა ყოველივე ცოცხალს. ასე მისდევდა კვირა კვირას, თვე თვეს....

ამასობაში სახნავები შარშანდელთან შედარებით ერთიორად გავზარდეთ. თითქმის ათი მილიონი ჰექტარი მარცვლეული დაითესა ახლად ათვისებულ მიწებზე. გეგმის გადამეტებით მილიონ-ნახევარი ჰექტარი დაიკავა საგაზაფხულო კულტურებმა. თესვაც უფრო სწრაფად, ერთსულოვნად, უკეთ მიმდინარეობდა, ვიდრე პირველ გაზაფხულზე, რესპუბლიკამ ერთ წელიწადში უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა მიწათმოქმედებაში. ხალხი უკვე ნათლად ხედავდა თავისი მუშაობის ნაყოფს და კვლავ დაძაბუნებულად შრომობდა, არც კი იცოდა, რა უბედურება ელოდა...

რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ სიცხე და გვალვა ამ მხარეში უცხო ხილი არ არის. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რა შემზარავად ულმობელი ყოფილა სტეპის კალენდარი, რომელსაც ათ წელიწადში ერთხელ მაინც განსაკუთრებით სასტიკი, დამღუპველი გვალვა ახასიათებს. ჩვენ ვიცოდით ჯერ კიდევ შეტევის დაწყებამდე, რომ აქ სტიქიასთან ბრძოლა გარდაუვალი იქნებოდა. როცა ადგენდნენ ყამირის ათვისების ეკონომიურ გაანგარიშებას, მეცნიერები გამოთქვამდნენ აზრს: თუნდაც რომ ყოველ ხუთწლეულზე ორი ძლიერ გვალვიანი წელიწადი მოვიდეს, საშუალოდ ჩვენ მაინც მივიღებთ სტეპში 500 მილიონ ფუთ პურს წელიწადში. გაანგარიშება ეჭვს არ იწვევდა, ვიცოდით, რაც მოგველოდა, მაგრამ ცოდნა სხვაა, ნახვა სხვაა, ნახვა იმისა, თუ როგორ ნადგურდება თვალსა და ხელს შუა ძვირფასი, ასეთი გარჯით მოპოვებული ჰორიზონტი.

როგორ ელიან ამ დროს ადამიანები წვიმას! ნერვიული დაძაბულობა უკიდურესობას აღწევს. ზოგჯერ ღამ-ღამობით გარეთ გამოცვივდებიან, როგორც კი ყურს მოჰკრავენ რომე წკარაწკურს სარკმლის მინებზე. „წვიმა!“. მაგრამ, თურმე, წვეთები კი არა, მშრალი ქარით მონაჭრილი ქვიშა სცემს სარკმლებსა და სახურავებს.

სტეპში გიჭირს სუნთქვა. ღუმელიდან გამოვარდნილივით გავარვარებული ჰაერი ცეცხლად ედება ფილტვებს. ისევე, როგორც დიდი ყინვის დროს, ცაში ფრინველის ჭანჭანება არ არის. ხმება, ცვივა და მტვრად იფშვნება ფოთლები. მიწა ისეთი ღრმა ბზარებით იშაშრება, რომ შეიძლება დაეკარგოს ნიგ ჩაგდებული ძალაყინი. ხორბლის უზარმაზარ მასივებს რუხი ფერი ედება, ჩვენ თვალწინ თეთრდება, შრიალებს ფუყე, უმწიფარი თავთავები. ხან უცებ ამოვარდება როშაკი, მტვრის კორიანტელს დაატრიალებს, გლეჯს ბუთულებს, სახლის სახურავებს.

გასაგებია მიწათმოქმედის გულისტკივილი, როცა ხედავს, რა უმოწყალოდ ნადგურდება, ღუპება მისი მთელი წლის ნაჯაფი, მთელი მისი გარჯა და იმედი. სულით უტეხი და მაგარი ნერვების პატრონი უნდა იყო, რომ გაუმაგრდე ამ ჭირს. იმის შეგნებაც კი, რომ მომავალ სეზონში სტეპი აგვინახლეურებდა ზარალს, არცთუ ისე გვამხნევებდა: კაცს ყოველთვის ღღეს, ახლავე გინდა მოსავალი.

არ მინდა გავამარტივო სიტუაცია, შევალამაზო ის, რაც იყო. იმ თვეებში ჩვენთან, ცენტრალურ კომიტეტში მოდიოდა წერილები ასეთი შეკითხვებით: როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ?

უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტა ყამირელთა კოლექტივებში ყველგან გაემართათ საერთო კრებები, გულახდილად ეთქვათ, თუ როგორი იყო სინამდვილეში საქმის ვითარება, გაეშვნევებინათ ხალხი. დაესახათ მათთვის ამ პირობებში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, აეხსნათ, რომ მიწათმოქმედებაში წელიწადი წელიწადს არა ჰგავს, და რომ ყამირელების ღღეც აუცილებლად დადგება. ამავე დროს ვაფრთხილებდი იმათ, ვინც ადგილებზე ჩადიოდა, ყოჩაღბიჭობანა არ ეთამაშათ, ვითომდა აქ არაფერიაო. ასეთი იყო იმ მომენტში პარტიულ-მასობრივი მუშაობის მთავარი ამოცანა.

უნდა ითქვას, რომ გულახდილი, ღია კრებების შემდეგ, რომლებიც ყოველ საბჭოთა მეურნეობაში მიეწყო, ყამირელები კვლავ გულიანად იწყებდნენ მუშაობას. მზე აცუნებდა, მაგრამ ჩვენ განვაგრძობდით მკასათვის მზადებას. გვიან შემოდგომამდე ვამზადებდით საკვებს. კიდევ უფრო ფართოდ და აქტიურად გავაჩაღეთ მშენებლობა. უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა მეურნეობებში. ყამირის რაიონებში სასურსათო და სამრეწველო საქონელი ისეთი ოდენობით მოდიოდა, რომ გარანტირებული იყო მთელი ზამთრის მანძილზე შეუფერხებელი მომარაგება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველნაირად გვეხმარებოდა და გვიჭერდა მხარს. მინდა გულთბილად მოვიხსენიო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ამ წლებში. რათა რაც შეიძლება სწრაფად და წარმატებით აგვეთვისებინა ყამირი ჩვენები. მე არაერთხელ შევხვედრივარ და მოვთათბირებივარ მათ და ყოველთვის ზუსტი, კონკრეტული პასუხი მიმიღია აღძრულ კითხვებზე, მიგრძვნია მტკიცე პარტიული და ძეთილი მორალური მხარდაჭერა.

სიძნელეების მიუხედავად ჩვენ რწმენით განვაგრძობდით მუშაობას 1955 წელს. რას ეფუძნებოდა ეს ჩვენი რწმენა? რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი შეწუხებული იყო, როცა ხედავდა, რომ მიწაში ჩაქცეულმა უზარმაზარმა ჯაფამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. მაგრამ რამდენიმე მეურეობაში რიგიანი მოსავალი მოვიწიეთ. მაგალითად, კოქჩეტავის ოლქის, „უდანოვსკის“ საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც 1954 წელს შექმნა. 22,5 ათასი ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიწია 7,9 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო ალმა-ათის ოლქის „როსლავლსკის“ საბჭოთა მეურნეობამ 20 ათას ჰექტარზე — საშუალოდ 9,1 ცენტნერი. და ასეთი მეურნეობანი არც ისე ცოტა იყო. იმ დროისათვის არცთუ ცუდი მოსავალი მოიწიეს მთელმა რაიონებმა და ოლქებმაც კი, მაგალითად, ჩრდილოეთ ყაზახეთისა და კოქჩეტავის ოლქებმა. გულმოდგინედ უნდა გავრკვეულიყავით, თუ რატომ მოხდა, რომ ზოგმა მაინც მოიწია პური, სხვებს კი ნათესები გადაებუგა. დავსძენ, რომ საღერთო მცირე მოსავლიანობის მიუხედავად, მარცვლეულის მთლიანი მოსავლის 80 პროცენტი რესპუბლიკამ იმ წელს მაინც ყამირზე მოიწია. ყაზახეთმა კვლავ გაცილებით მეტი უხეში საკვები დაამზადა, ვიდრე ყამირის ათვისებამდე, და 85 ათასი ტონით მეტი რძე, 122 ათასი ტონით მეტი ხორცი ჩაბარა. ჩვენ შევძელით თითქმის მილიონ-ნახევარი ტონა სილოსი, უმთავრესად სიმინდის სილოსი ჩაგვედო. რა თქმა უნდა, ეს დიდი მიღწევა არ იყო, მაგრამ გვარწმუნებდა, რომ ყამირი უკვე ამრულებს და მომავალში სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში. ამიტომ — ვიმუშაოთ! ასეთი იყო ჩვენი ლოზუნგი.

მაგრამ მოუსავლიანობა მაინც მოუსავლიანობაა, და მან ძალზე გაგვირთულა ბევრი საკითხის გადაწყვეტა.

1955 წლის დიმღევს მოსკოვში ვიყავი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების საკავშირო თათბირზე. ასეთ თათბირებზე, რა თქმა უნდა, მთლად კარგად ვერა გრძნობ თავს, როცა დაუსრულებლივ გეკითხებიან. რა იყო და რა მოხდაო, ან, პირიქით, განზრახ სხვა რამეზე გელაპარაკებიან, რითაც თავიანთ ფარულ თანავრძნობას გამოხატავენ. და როცა თათბირის ტრიბუნიდან განვაცხადე, გაისად ყაზახეთი სახელმწიფოს 600 მილიონ ფუთ მარცვლეულს ჩაბარებსმეთქი, დარბაზი უნდობლად აგუგუნდა.

როგორ შეიცვალა დრო! ახლა რომ ყამირიდან წელიწადში 500-600 მილიონი ფუთი მიგვეღო, რაც მაშინ დიდი წყალობა გვეგონა, ამას ისე შევხვდებოდით, როგორც სერიოზულ მარცხს, ახლა ჩვენ საშუალოდ წელიწადში დაახლოებით მილიარდ ფუთ ყაზახურ პურს ვიღებთ!

როგორც „ფრეგატ „პალადაში“, — გვიამბობს ი. ა. გონჩაროვი, — იაპონიაში ოდესღაც გუბერნატორები საკუთარი თავით აგებდნენ პასუხს ყველაფრისათვის, რაც მათ მიწებზე მოხდებოდა — იქნებოდა ეს ტაიფუნი, კოკისპირული წვიმა თუ მიწისძვრა. ჩვენს თავებს თითქოს არავითარი საფრთხე არ ელოდა, მაგრამ 1955 უიდბლო წლის შემდეგ გულში რაღაც მძიმე დანაშაულს ვგრძნობდით იმისათვის, რაშიც დამნაშავენი არ ვიყავით. ეს გრძნობა არ დამვიწყებია. და დღეს, ზოგჯერ, ვრეკავ ხოლმე რაიონებში, რომლებსაც სტიქიური უბედურება დაატყდათ, რათა გავამხნევო ხელმძღვანელები. ერთხელ როგორღაც ულიანოვსკის ოლქში მიმიწვიეს: „ლეონიდ ილიას ძევ, ჩამობრძანდით, ნახეთ, რა ხოდაბუნები გვაქვს!“. მალე კი ამოვარდა ხორშაკი, და ყველაფერი გადახრუკა. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ცხადია, შეწუხებული. დანაღვლიანებული იყო, ღელავდა. როგორც ყოველთვის, დინჯი საუბარი მჭონდა მასთან. უნდა შევთანხმებულიყავით საჭირო ღონისძიებებზე, დავხმარებოდით ამხანაგებს.

იმ ავბედ წელს კი ჩვენ, ვისაც ბოლომდე გვწამდა წარმატება, ხშირად გვიჭირდა ხოლმე დაგვემტკიცებინა ჩვენი სიმართლე. როცა ერთ-ერთ დიდ თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვის თანდასწრებით განვაცხადე, აი ნახავთ, ყამირს რა შეუძლია-მეთქი, მან საკმაოდ მკვახედ შემაწყვეტინა:

— თქვენი დაპირებებით ნაზუქებს ვერ დავაცხობთ!

მაგრამ მე ყოველგვარი საფუძველი მჭონდა მტკიცედ მეპასუხა:

— და მაინც ჩვენ გვწამს: მალე, ძალიან მალე იქნება ყამირზე დიდი პური!

ჩვენ შეუპოვრად ვემზადებოდით ახალი გაზაფხულისათვის. დარჩა ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი, ერთადერთი მალამო — მუშაობა. 1956 წელს ყამირის ნათესებს უნდა დაეკავებინა უკვე 27 მილიონი ჰექტარი, აქედან მარცვლეულს — 22 მილიონი. და კვლავ შემპყრო წყაურვილმა, ყველაფერი მენახა, ყველას შევხვედროდი, ყველგან მომესწრო ყოფნა..

10.

მარცვლეულის, ხორცის, ბოსტნეულის წარმოების ზრდისათვის ახლა ჩვენ უზარმაზარ მატერიალურ და ფულად რესურსებს გამოვყოფთ. რაზეც იმ წლებში ვერც კი ვიოცნებებდით. ვნერგავთ უახლეს ტექნიკას, ხელახლა ვაიარაღებთ სოფლის მეურნეობას, თანამედროვრულად ვამკვიდრებთ წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას, ვიღებთ ისეთ კომპლექსურ პროგრამებს, როგორიც არის რუსეთის ცრაშავმიწანიადაგიანი ზონის ოდინდელი მიწების გარდაქმნა — ეს დღეს ჩვენი მოწინავე ხაზია.

მაგრამ აი რისი შეხსენება გვჭირდება დღენიადაგ: სახალხო მეურნეობაში არ არსებობს „უკანა ხაზი“. ჯერ კიდევ გვხვდებიან ამხანაგები, რომლებიც მზად არიან მილიონები და მილიარდები ატრიალონ, ეგრეთ წოდებული წვრილმანები კი მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე. ამავე დროს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა გავუფრთხილდეთ, რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველივე, რაც გვაქვს, რაც წარმოებულია ქვეყანაში. მფლანგველობა შეუწყნარებელია, და რაც უფრო ფართოა ეკონომიკის გაქანება, მით უფრო მტკივნეულად ვლინდება ასეთი უყაირათო მიდგომა.

ამას ჯერ კიდევ ყამირზე მივხვდი და ამიტომ არ მინდა გამომრჩეს ის „წვრილმანები“, რომლებზეც ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ხალხის ცხოვრებაში. აი, მაგალითად, ჩრდილოეთ ყაზახეთში დიდი მოგზაურობის დროს ცელინოგრადის ოლქის „იზობილნის“ საბჭოთა მეურნეობაში ჩავედი. იგი მდებარეობდა შორეულ სტეპში, მდინარე სელეტის ნაპირას, თვალწარმტაც, მაშინ ჯერ კიდევ ველურ ადგილას. იქ წინათაც ვყოფილვარ, ყამირის ათვისების დასაწყისში, მინახავს პირველი ცხრა კარავი, ამჯერად კი მთელი დაბა დამხვდა. იდგა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასადილო, მაღაზია, აბანო, ფეხსაცმლის, სახელოსნოები, კანტორა, გარაჟი. გარდა ამისა, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ხალხს ოთხმოცამდე ინდივიდუალური სახლი აეშენებინა. მაშასადამე, მართლაც სამუდამოდ ჩამოსულან აქ.

გავესაუბრე, გამოვკითხე, რა უჭირთ, როგორ მოაგვარეს ცხოვრება. და აი, რა მოვისმინე:

— კასრები არა გვაქვს. კიტრი ვერ დავიმწნილებია.

— გოჭები გვინდა, სად ვიყიდოთ?

— დეკეული მინდა შევიძინო...

რა მეთქმოდა, საქმიანი საკითხები იყო. ყამირზე ბევრი რამ ჩამოგვქონდა, მაგრამ აი, თურმე, კასრები ნდომებიათ. პირუტყვიც უნდათ გაიჩინონ. თანაც არა მარტო დამხმარე მეურნეობისათვის. ჯერ კიდევ პირველ წელს ვნახე ახალმოსახლენი, რომლებსაც ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირათ, მეორეში კი კალათი მოჰქონდათ, რომელშიც ლეკვი ან კატა ჰყავდათ. „იაროსლავსკის“ საბჭოთა მეურნეობაში ერთი ჭაბუკი ჩამოვიდა ზამოროჟიედან და გალიით მამალი ჩამოიყვანა. „სტეპში, — მითხრა მან, — უკეთეს მაღვიძარას ვერ ინატრებო“. რა თქმა უნდა, ხუმრობდა, მაგრამ ამ ხრიოკ მიწაზე მამალი ყველას ახარებდა. ბიჭები ხაზუნებსა და ველის ფრინველებსაც კი იშინაურებდნენ.

შეიძლებოდა ეს ადამიანურ სისუსტეთა გამოვლინებად მიმეჩნია. მაგრამ ცხოვრებამ მასწავლა, რომ უნდა გესმოდეს, პატივს უნდა სცემდე ამ სისუსტეებს. ბავშვობაში მეც სიყვარულით ვადევნებდი თვალს ცაში მტრედის გუნდების ფარფატს. რა თქმა უნდა, ყამირზე ჩვენთვის მთავარი იყო მილიონობით ჰექტარები და მილიარდობით ფუთები, მაგრამ უნდა დავხმარებოდით ხალხს გაეშენებინათ საკუთარი ბაღ-ბოსტანი, მოეშენებინათ პირუტყვი და ფრინველი. უამისოდ მილიონებისა და მილიარდების საქმეც ვერ წავიდოდა რიგიანად. სოფლელ კაცს ეზო-კარი ისევე სჭირდება, როგორც ხეს ფესვები. იმ წლებში საჭირო იყო თვალდაზე დაგვენახვებინა ხალხისთვის, რომ სტეპში დასახლებას მტკიცედ, სამუდამოდ ვაპირებდით.

ამ ფიქრებში გართული, ყანას გავცქეროდი, რომ უცებ კიდევ ერთ ახალმოსახლეს მოვკარი თვალი: შავ ხნულს შარიანი აგრონომივით უტრიალებდა ერთი ჭილყვავი. ჭილყვავი კი, მოგეხსენებათ, მინდვრის ფრინველია. რაკი ჩამოფრინდა, მაშასადამე, აქ აპირებს დაბუდებას.

მახსოვდა რა „იზობილნიში“ გამართული საუბარი, შემდგომში ზოგიერთი ძველი დოკუმენტი ამოვქექე. ჯერ კიდევ 1934 წელს უაზახეთის სამხარეო კომიტეტში გაუგზავნიათ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბარათი. ამ ბარათში, ფრიად ფართოდ და გადაჭრით იყო დასმული როგორც სოფლად, ისე სამრეწველო რაიონებში მებოსტნეობის განვითარების საკითხი. უაღრესად დაწვრილებით უხსნიდნენ, როგორ უნდა დახმარებოდნენ ამ საქმეს აქტიურად და ყოველმხრივ პარტიული, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპერაციის ხელმძღვანელები. და მებოსტნეობაც მალე განვითარდა, საიმედო მატერიალური საფუძველი შეიძინა. მაგრამ გავიდა ხანი, და უეცრად დაიწყო მისი დაკნინება, თითქმის სანახევროდ შემცირდა. კარტოფილს კი, მაგალითად, რესპუბლიკა ორ-ნახევარჯერ მეტს იღებდა ინდივიდუალური ბოსტნებიდან, ვიდრე კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან.

როცა ზოგიერთ დირექტორს ვაკრიტიკებდი, ხალხს ცარიელა ატრიასა და ნახარშუხარშს აჭმევთ-მეთქი, პასუხად ერთი და იგივე მესმოდა: ფონდები არა გვაქვს, ფონდები მოგვეცითო! თქმა არ უნდა, მთელი რიგი პროდუქტების ცენტრალიზებული ფონდები სოფლისთვისაც უნდა გქონდეს. მაგრამ კარტოფილის, კომბოსტოს, კიტრის, საზამთროს რა ფონდებზე შეიძლება ლაპარაკი? ყოველივე ეს მშვენივრად ხარობს ნებისმიერ მეურნეობაში. იგივე შეიძლება ითქვას კვერცხსა და რძეზე. გლეხკაცს ოდითგანვე თავისი ქათმები ჰყავდა, ქალაქში ყიდიდა კვერცხს, მაშ ახლა თითოეული კვერცხი გაიწესით რატომ უნდა მიიღოს მოსკოვიდან?

ის, რაზეც ვწერ, ფრიად აქტუალურია დღესაც. ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც მხოლოდ იმით სულდგმულობენ, რომ ყოველისშემძლე ფონდების იმედი აქვთ, არცკი უფიქრდებიან, საიდან უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ეს ფონდები. ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი შესაძლებლობა, ყოველი გოჯი მიწა უნდა გამოვიყენოთ, რათა ყველგან გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, „ულუფა“ შევმატოთ ჩვენს საერთო სუფრას. ხდება ხოლმე, მიდიხარ მატარებლით, სარკმელში კი აჭა-იქ გაიელვებს გასარევლიანებული ნაკვეთები, რომლებიც შეგეძლია დავამუშავოთ, ბალახი დავთესოთ, პირუტყვი მოვაშენოთ. ყველაფერი ეს ხომ დაგვეხმარება უკეთ უზრუნველვყოთ მოსახლეობა ადგილობრივი რესურსების ხარჯზე და სამხრეთიდან არ ვეზიდებოდეთ, მაგალითად, კიტრსა და პამიდორს, ასობით კილომეტრიდან არ შემოგვჭონდეს კვერცხი, ხაჭო და რძე.

ყოველივე ეს უნდა ახსოვდეთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, მრეწველობის ხელმძღვანელებს. ისინი მოვალენი არიან განავითარონ დიდი და პატარა ქალაქების გარშემო მტკიცე სასოფლო-სამეურნეო ბაზები, ჰქონდეთ სპეციალიზებული კომპლექსები და დამხმარე მეურნეობანი, რათა უხვად იქონიონ მაღაზიებში კარტოფილი, ხორცი, რძე, მწვანილი და ხილი. ამის საშუალება აქვთ სვერდლოვსკშიც, ტიუმენშიც, ირკუტსკშიც და ქვეყნის ნებისმიერ სხვა ქალაქში. სწორედ ეს შეეახსენე ადგილობრივ ხელმძღვანელებს 1978 წლის გაზაფხულზე ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს.

უაზახეთში კი, ჯერ კიდევ მაშინ, 1955 წელს, გადავწყვიტეთ, ფართოდ გაგვევითარებინა მებოსტნეობა, ყველა მსურველისათვის გამოგვეყო ნაკვეთები, შეგვეზიდა ინვენტარი, დავხმარებოდით ყოველნაირად. ასევე გადავწყვიტეთ, ფრინველისა და პირადი სარგებლობის პირუტყვის გაყიდვის საკითხი. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ყველა საბჭოთა მეურნეობაში დაეხმარე მეურნეობათა შექმნას. აქ უცნაური ამბავი ხდებოდა: ყამირის ათვისების დასაწყისისათვის მათი რიცხვი რესპუბლიკაში ლამის ოთხჯერ შემცირდა. ანუ, გლობალურ გეგმებს რომ ადგენდა, დიდ საქმეებს რომ ეჭიდებოდა, ხალხმა დავიწყა, ის, რაც მეორეხარისხოვნად ეჩვენებოდა.

ეს „წვრილმანები“ კი — აქ ციფრები უნდა მოვიშველიო — ასე გამოიყურებოდა: დამხმარე მეურნეობებში ფურების რიცხვი შემცირდა 11 ათასით, ცხვრისა — 280 ათასით, კაცმა არ იცის, რა იქნა 3,7 ათასი ჰექტარი ბაღჩები, 5 ათასი ჰექტარი ბოსტნები, 11 ათასი ჰექტარი კარტოფილის ნათესები. ქვეყანას ჯერ კიდევ უჭირდა. ჩვენ კი უამრავ პროდუქციას ვაკლებდით. სასწრაფო ღონისძიებებს მივმართეთ. დამხმარე მეურნეობებს გამოვუყავით სახსრები და მიწები, ჩამოვიყვანეთ მეწველი პირუტყვი, ავაგეთ სათბურები, საფრინველეები, გავაშენეთ საკენკრეები, მათი პროდუქცია საბჭოთა მეურნეობების გეგმებში შევიტანეთ და დირექტორებს მკაცრად მოვთხოვეთ ამ გეგმების შესრულება. ყველაფერი ეს საჭირო იყო ყამირელთა უკეთ მომარაგებისთვისაც, დამპიანების ფსიქოლოგიური განწყობისთვისაც, რომლებიც ხედავდნენ, როგორ დგებოდა კალაპოტში სტეპის ცხოვრება.

როცა ყოველივე ამას ვიხსენებ, როცა იმ წლების დოკუმენტებს ვკითხულობ, ვხედავ, რომ ხშირად ვიხსენიებ კურგალჯინოს რაიონს. მაშინ ძალიან მაწუხებდა მისი საქმეები და განსაკუთრებით ის, რაც მორიგი მოგზაურობის დროს ვნახე „სტეპნიაკის“ საბჭოთა მეურნეობაში. ამ მეურნეობაში ჯერ კიდევ 1954 წლის ზაფხულში ვიყავი და საკმაოდ სურათი ვნახე. ასეთ ადგილებში პირველი წუთიდანვე გრძნობ, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის: ხალხი გარს შემოეხვევა ხოლმე ყოველ ახალჩამოსულ კაცს, ჯგროდ დასდევს და ჩივის. მეც მაშინვე მომიახლოვდა ერთი ქალი და სხაპასხუპით დამაყარა:

— ამხანაგო წარმომადგენელო, არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, მაგრამ გაიკითხ-გამოიკითხეთ, დაგვეხმარეთ, ელექტრონი არა გვაქვს, არც სათბობი, არც ნავთი, რაზე მოვამზადოთ კერძი? არც მოსამზადებელი გვაქვს რაჟე....

მასთან ერთად შევედი მაღაზიაში. მარილიც კი არ ჰქონდათ. მეორე, ბავშვიანმა ქალმა ასევე აღელვებულმა მომმართა:

— ამხანაგო ბრეჟნევ, რძე არ არის, მანანას ბურღული არ არის, რა ვაჭამო ბავშვებს? თქვენც გეყოლებათ, ალბათ, ბავშვები. მამა იქნებით, დაგვეხმარეთ როგორმე.

მუშათა კოოპერატივის წარმომადგენელი გამოვიძახე. შუბლზე ერთი ძარღვი არ შესტოკებია, ისე მითხრა, მანანას ბურღული სულ ერთი დღეა არა გვაქვსო. თან თვალებს აცეცებს აქეთ-იქით, ვხედავ რომ ცრუობს. ქალებს დავპირდი, სურსათ-სანოვაგის საქმეს მივხედავ-მეთქი. მაგრამ უფრო იმან გამაკვირვა. რძე რომ არ იყო. მაშინ ხომ ბევრ საბჭოთა მეურნეობას მივეცით პირუტყვი დამხმარე მეურნეობებისათვის, მათ შორის იყო „სტეპნიაკიც“. მოვითხოვეთ ცნობა, ვის რამდენი ძროხა, ღორი, ცხენი, ფრინველი გამოეყო, და გული დავაარხეინეთ. მაგრამ აი, გზად ხალხმა სასადილოში შემიყვანა. ჩამოვსხედით სასაუბროდ.

— რამდენი ძროხა გყავთ დამხმარე მეურნეობაში?

— ორმოცდაათამდე.

— მაშასადამე, რძე უნდა იყოს.

— რას ბრძანებთ! ისინი აქედან სამოც ვერსზე არიან, საძოვარზე.

ამასობაში დირექტორი კოვლენკოც გამოვიდა. მოირბინა თუ არა, წუწუნს მოჰყვა:

— რა უბედურებაა, ლეონიდ ილიას ძევ! ერთი ქალიც ვერ დაიცვლება მწყობრიდან ზე, არავის არა აქვს მრეწველობა ზე, არავის არა აქვს მრეწველობა

— თქვენ რა, საძოვრებზე ძროხას არ წველით?

— ასე გამოდის.

— მერე არ გაწუხებთ, რომ ბავშვებს რძე არა აქვთ, რომ ძროხებს ცური გაუშრებათ?

— როგორ არ მაწუხებს, მეშინია, პასუხისგებაში არ მომცენ-მეთქი, მაგრამ რაღაცას გავახერხებ... უკვე წერილი გავგზავნე უკრაინაში, გოგოები მინდა ჩამოვიყვანო, რომ დაგვეხმარონ.

ამ კაცთან ყველაფერი გავარკვიე და ახლა ქალებს მოვუბრუნდი.

— რატომ არ ეხმარებით? ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა...

— ბავშვებს რაღა ვუყოთ, — აქაქანდნენ ისინი. — ჩვენ ყველანი ქმარშვილიანები ვართ.

— კარგი. ახლა მითხარით, ჯერჯერობით სახლებში რომ ჩამოგირიგოთ ძროხები, მოუვლით? მოწველით?

— მა რას ვიზამთ! კიდეც მოვწველით, საძოვარზეც გავრეკავთ. ჩვენს ქმრებსაც შეუძლიათ მოწველა.

— ეს რა არის, ამხანაგო კოვალენკო, სიცხედ ეშხადებით, უბრალო რამ კი ვერ მოგიფიქრებიათ. დაურიგეთ ძროხები საბჭოთა მეურნეობების მუდებს. კიდეც მოწველიან და ბავშვებსაც გამოკვებავენ. მერე მწველავებსაც გამოვნახავთ.

— ვერ მოვიფიქრე, ახლა კი რაღაცას გავახერხებ....

დირექტორთან ერთად შემოვიარე დაბა, ვხედავ, საძაგლად აშენებენ, უსაძირკვლოდ დგამენ ჭოხებს. მკვახე საუბარი გამოგვივიდა. მართალი გითხრათ, უკვე აღარ ვენდობოდი კოვალენკოს, რადგან რაც უნდა მეთქვა, კაჭკაჭივით გაიძახოდა: „რაღაცას გავახერხებ, რაღაცას გავახერხებო...“ ვეუთხარი, აუცილებლად ჩამოვალ კიდევ, ყველაფერს შევამოწმებ-მეთქი. და აი, როცა მეორედ ჩავედი „სტეპნიაკში“, სახტად დავრჩი: საბჭოთა მეურნეობაში თითქმის არაფერი არ შეცვლილიყო! მაღაზიისა და სასადილოს მომარაგება უკეთესი იყო, მაგრამ ეს შარშანდელ ჩარევას მოჰყვა. სხვა მხრივ კი კოვალენკოს თითიც არ გაუნძრევია. ხალხს უწინდებურად ყველაფერი აკლდა, წყალიც კი, თუმცა ჯერ კიდევ მაშინდელი ჩამოსვლისას ვეუთხარი დირექტორს, ავში დაეღგათ მანქანაზე და კარდაკარ ეტარებინათ წყალი — ეს იყო და ეს, გადაუწყდებოდა პრობლემა. და ისევ ყოველ ჩემს შენიშვნაზე პასუხად მესმოდა ნაცნობი:

— რაღაცას გავახერხებ, რაღაცას გავახერხებო...

ასეთი, მე ვიტყოდი, გასაოცარი უმწეობის და გულგრილობის შემთხვევები ყამირზე მაინც იშვიათი იყო, თუმცა უწესრიგობას ხშირად ვაწყდებოდი. მუნაკებს, რომლებიც ესოდენ სამაგლად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობებს, ვერ შევიწყნარებდით, რაც საგანგებოდ ვთქვი ცელინოგრადის საოლქო კომიტეტის უახლოეს პლენუმზე. კეთილმოწყობა — ეს არის საკეთილ ქმნა ადამიანებისათვის, ზრუნვა მათთვის. ეს ყოველთვის მარტოოდენ სამეურნეო მუშაობა კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკაა, სადაც შეცდომები ძვირად გვიჯდება. შეცდომები ყოველთვის ზედმეტ მსხვერპლს იწვევს: ომში — ხალხი იღუპება, მშვიდობიან ხანაში — მატერიალური და ზნეობრივი დანაკარგები მატულობს. სრულფასოვანი ცხოვრების დამკვიდრება მოითხოვდა, რომ სტეპის ახალშენებს სათავეში ჩასდგომოდნენ ადამიანები, რომლებსაც გული შესტკიოდათ არა მარტო გეგმებისათვის, არამედ ყველაფრისთვისაც, რაც ხალხს ასულდგმულებს. კოქჩეტავის ოლქში მე მიუვარდა, მაგალითად, კოლმეურნეობა „კრასნოარმეეცში“ ჩასვლა. არა მარტო იმიტომ, რომ იქ ჩკვიანურად უძღვებოდნენ მეურნეობას, არამედ იმიტომაც, რომ სოცარად გემრიელ პურს აცხობდნენ. ალბათ, ჩემს ცხოვრებაში არსად არასოდეს არ მიჭამია უკეთესი პური, ვიდრე აქაური — ფაფუკი და სურნელოვანი. განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდათ ეს პატრუ ივანეს ძე ნიკოლაევის ბრიგადაში. „ისეთ პურს ვაცხობთ, — მეუბნებოდა იგი, — რომ ერთ ვერსზე ტრიალებსო მისი სუნი!“ მახსოვს, ერთხელ როგორღაც ვთხოვე კიდეც რამდენიმე პურის კვერი, რათა ალმა-ათაში ამხანაგებს გავუსინჯებინა. ვისაც ხე დაურგავს, მადლობას ეუბნებოდა და ვერცხლის ჰანეთიანებს ურიგებდა, ის გლეხები კი, რომლებიც მუყაითად არ მოეკიდნენ საქმეს. ბრძანა ქამრით ეცემათ: რამდენი ხეც ვერ ახარეს, იმდენი დაერტყათ ეშხით შახლი გუბერნატორი კი, თურმე, ჯარისკაცს დასძახოდა: „შენ ეი, ვასილ, ბალთით დასცხე, ბალთით...“

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ყამირი

(გაგრძელება)

— აი, ასე გაჩნდა ქუჩებში ხეები, — დაამთავრა ამბავი თავმჯდომარემ და გაეცინა.

ხუმრობა იქით იყოს, და ახალი საბჭოთა მეურნეობების გამწვანებისათვის ბრძოლა უკვე მაშინ გვიხდებოდა. და ახლა, როცა ყამირზე ჩავდივარ და ვხედავ, როგორ არის დაბურული მწვანით საბჭოთა მეურნეობების დაბები, როგორ შრიალებენ დაჩრდილული პარკები, როგორ ყვავის ვაშლი და ალუბალი, აკაცია და იასამანი, როგორ ელვარებს და გიზიდავს მიმოფანტული ტბები და წყალსაცავები, რომელთა მზით გადაბუგულ ნაპირებზეც დგანან და დგანან მოანკესენი, — ღიმილით მაგონდება ომსკელი გუბერნატორის ამბავი.

X X X

ბევრი მგზავრობა მიხდებოდა — ხან მატარებლით, უფრო ხშირად თვითმფრინავით, ზოგჯერ კი ერთი მივლინების დროს — ორივეთი. ასეთი შეხვედრა მიზოგავდა დიდძალ დროს, რომელიც არასოდეს არ მყოფნიდა. როცა ხანგრძლივად ვჩერდებოდი საკვანძო სადგურებში ან საოლქო ცენტრებში, ვაგონი სასტუმროს როლსაც ასრულებდა. ამ პუნქტებში წინასწარ გვიგზავნიდნენ თვითმფრინავს და ჩვენ შეგვეძლო რამდენიმე რაიონი და საბჭოთა მეურნეობა შემოგვევლო.

„ან-2“ თვითმფრინავი სპეციალური შეკვეთით დაგვიმზადეს კიევში. მას ჰქონდა მძლავრი რაცია, სალონში ექვსი მოსახერხებელი სავარძელი იყო. ეკიპაჟს თან დაჰქონდა კიდევ დასაკეცი საწოლი, რომელიც ყოველთვის თვითმფრინავის კუდში იდგა. სხვა მხრივ ეს იგივე, ყველასათვის ნაცნობი გამრჯე „ანტონი“ იყო. ჩვენი მიმოსვლისათვის იგი შეუცვლელი გახლდათ. მფრინავები ჰაერიდან ირჩევდნენ დასაჯდომ ადგილს და შეეძლოთ თვითმფრინავი სტეპში დაესვათ ნებისმიერ ადგილას — ნებისმიერ კვლთან, ტრაქტორთან, საველე ბანაკთან.

ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ ეს საჰაერო ეტლი ქანცს მაცლიდა. მე, ასე თუ ისე, შევეჩვიე, მაგრამ ერთხელ ყოველივე ეს გამოსცადეს ჩვენმა პატივცემულმა მსახიობებმა ლ. პ. ორლოვამ, მ. ა. ლადინინამ და ნ. ა. კრიუჩკოვმა. ისინი ყამირზე იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ თავიანთი ხელოვნებით დაეტკბოთ ხალხი, მაგრამ მაყურებელი არ აღმოჩნდა: ყველა სტეპში იყო გასული. შემომჩივლეს:

— კუსტანაიში უკვე გამოვედით, მაგრამ თვითონ ყამირელების ნახვაც ხომ გვინდა. გვიშველეთ, რამე ტრანსპორტი მოგვეცით.

— კი, ბატონო, ინებეთ ჩემი თვითმფრინავი, — ვუპასუხე და ეკიპაჟს მივმართე: — ხვალ საქმე მაქვს ქალაქში, თქვენ კი ამ ამხანაგებს ბრიგადები მოატარეთ, სადაც ხალხს მოკრავთ თვალს, იქ დასვით თვითმფრინავი.

მფრინავებმა თავი გამოიდეს. ერთ დღეში ორი თუ სამი რაიონი მოატარეს. ქარიანი დღე იყო, თვითმფრინავი საშინლად ირყეოდა, მსახიობები ცოცხალ-მკვდარნი დაბრუნდნენ ქალაქში. კრიუჩკოვი, როგორც გამოცდილ კაცს შეშვენის, ყოჩაღად იყო, მაგრამ ქალებს ძალზე გაუჭირდათ. მე გადავხედე მათ, და დავტუქსე მეთაური:

— ნამეტანი ხომ არ მოგვიდა, ნიკოლოზ?

— რას ბრძანებთ, თვითონ გვთხოვეს. გამოვიდოდნენ მანქანიდან, ცოტა ხანს წყვნებოდნენ ფრთის ქვეშ, მერე წარმოდგენა, და ისევ — წავედითო! ძალიან ვაჟკაცური ქალები არიან...

მე მადლობა გადავუხადე მსახიობებს, მაგრამ შევნიშნე, რომ უკვე ისეთი შურის თვალით აღარ უყურებდნენ ჩემს თვითმფრინავს, როგორც დილით. ყოფილა დღეები, როცა საათობით დავსტრიალებდით სტეპს. ერთხელ ეკიპაჟის მეთაურმა მითხრა:

— მე მგონია, შეგვიძლია პილოტად ჩაგრიცხოთ. ასი საათი მაინც გაქვთ ნაფრენი.

— რამდენია მფრინავის ნორმა?

— ას ოცი.

— მაშ, ჩემი პილოტობა ნაადრევი ყოფილა.

— ნუ იტყვით. ჩვენ ხომ არანორმალურად დავფრინავთ.

— როგორ, არანორმალურად?

— როგორია ჩვენი სამუშაო სიმაღლე? ასი მეტრი. მიწას კი რამდენ ხანს ვუტრიალებთ, მოულნის შესარჩევად? არა, ასეთი ფრენის დროს ერთი საათი ორად უნდა ითვლებოდეს.

მე მომწონდა თვითმფრინავის ეკიპაჟი — მეთაური ნიკოლოზ მოისეევი, მეორე პილოტი მუბინ აბიშევი და ბორტმექანიკოსი ალექსანდრე კრუგლიკოვი. რა დღეში არ ჩავარდნილა მათი პატარა მანქანა — „კლონა“, როგორც ისინი უწოდებდნენ სტეპში, სადაც წელიწადში ორმოცდაათიოდე უქარო დღე თუ გამოერევა. ეს პატარა თვითმფრინავი თითქმის განუწყვეტლივ ლაყლაყებდა არც მიწაზე ჰქონდა მოსვენება: ხშირად, ქარს რომ არ გადაებრუნებინა და არ დაემსხვრია ჩვენი „ან-2“, დატვირთული თვითმცლელები მოგვყავდა და ზედ ვაბამდით თვითმფრინავს. მთელი წლის განმავლობაში დავფრინავდით, ხშირად არად ვაგდებდით ამინდს და ზოგჯერ ინსტრუქციასაც ვარღვევდით. ჩემი მუდმივი თანამგზავრები, დავრწმუნდი, თავიანთი საქმის ჩინებული ოსტატები იყვნენ.

იმხანად ბევრი მფრინავი უკვე ოცნებობდა დიდ სიჩქარეებზე, შორეულ რეისებზე, რეაქტიულ თვითმფრინავებზე, ალბათ. ამაზე ფიქრობდნენ ჩემი პილოტებიც. მაგრამ რას იზამ, ბედმა მათ სხვა სამსახური არგუნა. და ისინიც მოთმინებითა და ნამუსიანად ასრულებდნენ მას. მხოლოდ ერთხელ ვნახე ისინი ძალზე შეწუხებულნი. ლამის შეშინებულნი. ეს, თუ არ ვცდები, ტამანის დივიზიის საჯელობის საბჭოთა მეურნეობაში მოხდა. შორიდან ბრიგადას ვეწვიეთ მაისი იყო. უკვე მწიანედ ბიბინებდა ბალახი. მოწმენდილი ამინდი იდგა. ქვემოთ სწორი, გადატკეცილი სტეპი მოჩანდა. ასეთ ველზე დასაჯდომი მოედნის მოძებნა ძნელი არ არის. როგორც მოგეხსენება. მშვიდად დავჯექით მაგრამ ისის იყო ჩაქრა მოტორი, რომ პირველი პილოტი, როგორც ჩვეულებრივი ჩემს შემდეგ გამოდიოდა ხოლმე მანქანიდან, კარს ეცა:

— უკაცრავად...

მე კვალდაკვალ გამოვყევი და დავინახე, რა სწრაფად მიჰყვებოდა ბალახში თვითმფრინავის თვლების კვალს, და რაღაცას ეძებდა. ბოლოს შეჩერდა; ხელის ქნევით და ძახილით მოუხმო ტრაქტორისტებს, რომლებიც მახლობლად მუშაობდნენ. ხალხმა თავი მოიყარა, მეც მივედი, და გაფითრებულმა და განრისხებულმა მოისეევმა თქვა:

— დახეთ, ერთი!

ბალახში მარცხენა თვლის კვლიდან ნახევარ მეტრზე გადმობრუნებული, კბილებაშვერილი ფარცხი ეგდო. ჰაერიდან პილოტი ვერავითარ შეშფოთებაში ვერ შენიშნავდა მას და მხოლოდ დაჯდომის მომენტში დაინახა. ცუდად შეიძლებოდა წასულიყო საქმე. ძლივს დავაშოშმინე მფრინავები, რომლებიც კინაღამ ეცნენ ბრიგადირსა და ტრაქტორისტებს. ცხადია, მათ არ შეეძლოთ სცოდნოდათ, რომ სწორედ ამ ადგილას დაჯდებოდა თვითმფრინავი, მაგრამ ფარცხი, ისევე როგორც ყველა სხვა იარაღი, მინდვრის სამუშაოების შემდეგ კი არ უნდა მიეგდოთ, არამედ შეენახათ. ეს შემთხვევა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ უყაირათობასა და უქნარობას დანაშაული შეიძლება მოჰყვეს.

როცა ყაზახეთიდან მოვდიოდი, ხომალდის მეთაურმა გამოთხოვებისას მითხრა, რომ ჩემთან ერთად ორი წლის ფრენის დროს 480-ჯერ დავჯდარვართ სტეპში სულ სხვადასხვა ადგილას. მითხოა ამაყად, და პროფესიონალის ეს სიამაყე გასაგები იყო ჩემთვის. მე კარგად ვიცოდი ამ შესანიშნავი პილოტის ოსტატობა და შემდეგშიც, როცა უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიყავი. ყამირზე ჩასკლისას მხოლოდ ნიკოლოზ გრიგოლის ძე მოისეევთან ერთად დავფრინავდი ხოლმე.

ამრიგად, ჩვენი საქმიანობა კვლავ ფართოდ გაჩაღდა, სულ გზაში ვიყავი, ხანდახან თუ წავიძინებდი ხოლმე, ხან სად ვსადილობდი, ხან სად. ერთხელაც ცელინოგრადში ცუდად შევიქენი, გრიპ რომ მოეედი, საკაცეზე ვიწექი. მანამდე ერთხელ უკვე ჩამიყვანეს სემიპალატინსკიდან ალმა-ათაში გულის შეტევის გამო. იძულებული გავხდი შინ დავწოლილიყავი, არ დავმორჩილებოდი ექიმებს, რომლებიც საავადმყოფოში მიპირებდნენ მოთავსებას. ვეხუმრებოდი: თქვენს ხელში მტერი ჩავარდა, ფეხქვეშ გააფშვინებთმეთქი. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ავადმყოფობისათვის არ მეცალა. ყამირმა უამრავი ახალი საქმე და საზრუნავი გაგვიჩინა — ძნელი, ხშირად ჩახლართული და ყოველთვის გადაუდებელი.

დგებოდა პურისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ჟამი.

11.

ვინდა მოკლედ შევეხო ყამირზე ჩვენს აგროტექნიკურ პოლიტიკას. ვითომ სულ არ გვქონია შეცდომები მუშაობაში? არა, ამას ვერ ვიტყვი. ვიცოდით თუ არა, რომ განსაკუთრებით სარისკო მიწათმოქმედების ზონაში მივდიოდით? დიახ, ვიცოდით და წინასწარ ვემზადებოდით ამისთვის. გვსმენია თუ არა მეცნიერთა გაფრთხილება, რომ მთლიანმა გადახვნამ სტეპი შეიძლება ხრიოკ უდაბნოდ აქციოს? რა თქმა უნდა, გვსმენია და გავითვალისწინეთ კიდეც. ყამირზე პარტიის აგროტექნიკური პოლიტიკა, მოკლედ რომ ვთქვათ, იმით გამოიხატებოდა, რომ შეძლებისდაგვარად შეგვემცირებინა სტეპის პირველქმნილ ბუნებაში ადამიანის ჩარევის უარყოფითი შედეგები, დაგვემკვიდრებინა აქ მემინდვრეობის უმაღლესი კულტურა. შემდეგ კი შეგვექმნა კიდეც გვალვიანი ზონისათვის კარგად მომარჯვებული მიწათმოქმედების სისტემა. მაგრამ როგორი იქნებოდა იგი კონკრეტულად, თავდაპირველად არც ვიცოდით და ვერც გვეცოდინებოდა.

გზა სიარულმა დალიაო — ამბობს ერთი კარგი აღმოსავლური ანდაზა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე წერდა:

„რუსეთის მუშათა კლასი მოიპოვებს თავისუფლებას და თავისი შეცდომებით აღსავსე რევოლუციური მოქმედებით ბიძგს მისცემს ევროპას — და, დაე, იყოყოჩონ ვიგნდარებმა თავიანთი შეუცდომელი რევოლუციური უმოქმედობით“.

შეუცდომელი უმოქმედობა — კარგად არის ნათქვამი! იმაზე ადვილი არა იყო რა, რომ ხელი არ გვეხლო ბუნების საგანძურისათვის, მაშინ კი ნამდვილად არ გვექნებოდა შეცდომები. მაგრამ, როცა ამ სტეპში მოვდიოდით, ღრმად გვწამდა ადამიანის გონების ძალა. გვწამდა, რომ ყამირზე უზარმაზარი, ხალხისათვის საჭირო მუშაობის მსვლელობაში გამოვნახავდით მიწის ნაყოფიერების შენარჩუნების საშუალებას. და პირველი ნაბიჯებიდანვე ვეძებდით ამ ახალ საშუალებებს.

საკმაოდ სწრაფად მოვახერხეთ საგაზაფხულო თესვისწინა ხვნის ლიკვიდაცია, ძირითადად გვქონდა მხოლოდ მაისისა და ივნისის ანეულები და მზრალი. დავნერგეთ კულისებად თესვა, მოვაწყვეთ თოვლის შეკავება, მხედველობიდან არ გაგვიშვია საიმედო საანეულო ნაკვეთები. ერთი სიტყვით, ყველაფერი ვიღონეთ, რათა გადაგვეჭრა გვალვიანი სტეპის ზონაში მიწათმოქმედების მთავარი ამოცანა — შეგვენარჩუნებინა ნიადაგში ტენი. დავაზუსტეთ თესვის ვადებიც, თუმცა ეს იოლი არ იყო. ახლა ყამირზე არავინ აღარ თესავს მაისის მეორე ნახევარზე ადრე, ეს ანბანურ ჭეშმარიტებად იქცა. მაშინ კი... „მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური!“ — წამდაუწუმ იმეორებდნენ ამ ძველ, მიჩვეულ ნათქვამს. ყამირზე ადრეულ თესვას მოითხოვდა ზოგიერთი მეცნიერიც.

მაგრამ იყო სხვაგვარი თვალსაზრისიც, და უკვე პირველი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მაისში დათესილმა მასივებმა პურის უხვი მოსავალი მოგვცა. რა იყო ამის მიზეზი — ახალი მიწა თუ გვიანი თესვა? 1955 წელს გვიანი ნათესები ბევრად გაიზარდა და აშკარად უკეთ გაუძლო გვალვას. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ დავა გრძელდებოდა, განსაკუთრებით გაჭირდა ძველ მკვიდრთა დარწმუნება. იმავე კოლმეურნეობა „კრასნოარმეეცში“ ბრიგადირმა ნიკოლაევმა, რომელიც გემრიელ პურით გამიმასპინძლდა, ასე დაამთავრა საუბარი ამ თემაზე:

— ვცდით, რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გაგვიჭირდება ჩვენი გლეხკაცის დაკება. ისინი ხომ, როგორც კი დაინახავენ, რომ შეიძლება სახნავში ფარცხის გატანა, მაშინვე სულ სირბილით იწყებენ ხოლმე თესვას! მიეჩვივნენ...

ასე იყო თუ ისე, 1956 წლის გაზაფხულისათვის უკვე ბევრ ახალ მეურნეობაში ადრეული თესვა ისევე საგანგებო შემთხვევად იყო მიჩნეული, როგორც ცოტა ხნის წინათ — გვიანი. მაგრამ ძველ ჩვევებს ჯერ კიდევ გაჰქონდა თავისი. პარტიის ესილის რაიკომის პირველმა მდივანმა ანატოლი როდიონის ძე ნიკულინმა — ჩინებულმა მუშაკმა, რომელიც ყამირზე სოციალისტური შრომის გმირი გახდა, — ერთხელ მოსკოვში მიამბო, როგორ დაარღვია მაინც ერთ-ერთმა დირექტორმა თესვის ახალი ვადები.

— და, როგორ გგონიათ, ვინ იყო ეს? — ნიკულინმა დამისახელა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის გვარი. — პირველი მაისი არც კი გვეზეიმა, რომ შემოვარდა ეს „ჩემპიონი“ რაიკომში: „ამხანაგო მდივანო, საბჭოთა მეურნეობამ თესვა დაამთავრა!“. ხელი საფეთქელთან მიიტანა და მხედრულად შემოჰკრა ქუსლი ქუსლს. ლამის შევხტი საკარძელში: „რამ გამოგაშტერათ?! რა გეჩქარებოდათ?“ ესაო და, რაიონში პირველები გვინდოდა ვყოფილიყავითო. „კი მაგრამ, პურს ხომ ვერ მოიწევთ!“.

ასეც მოხდა: რაიონმა საშუალოდ ჰექტარზე თექვსმეტი ცენტნერი მოიწია, ხოლო ამ „მოწინავემ“ — სულ ექვსი ცენტნერი. ძველი ამბავია, იმ შემთხვევის შემდეგ ამხანაგი კარგად მუშაობდა, თავს არ ზოგავდა. ამიტომაც არ გისაბელებთ მის გვარს. მაგრამ რა უსაშველო გახდა ეს ჩვევა — ოღონდ გიპატაკონ, თანაც აუცილებლად პირველებმა, და მერე თუნდაც ქვა ქვაზე ნუ ყოფილა. ჰოდა, ხდება კიდეც ხოლმე ასე.

ვიტყვი, ზოგჯერ უარესიც ხდება: კარგად მოხნავენ, დროზე დათესავენ. მერე კი მკის, გადაზიდვის, შენახვის, გადამუშავების დროს ლამის ჭირნახულის მესამედს კარგავენ. დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა ახლა სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი რეზერვია. სავსებით ცხადია, რომ უკვე წარმოებული პროდუქციის მოგვას გაცილებით ნაკლები შრომა და სახსრები სჭირდება, ვიდრე მის წარმოებას. მაშასადამე, ასეთი გზა ხელსაყრელია, შეესაბამება პარტიის კურსს — ეფექტიანობის ამაღლების კურსს, და. რაც მთავარია, შეესაბამება ხალხის ინტერესებს.

განსაკუთრებულ პატივს ვცემ იმათ, ვინც დიხჯად, უფაციფუცოდ და უხმაუროდ მისდევს თავის გეზს სოფლის მეურნეობაში, და მუდამ ხედავს საბოლოო მიზანს. ყამირზე ბევრი აგროტექნიკური წესი გაჩდა გადასასინჯი. მაგალითად, თესვის ვადებზე ნაკლებ საინტერესო არ იყო ჩვენთვის თესლის ჩათესვის სიღრმე. როგორც გამოირკვა, კოქჩეტავის ოლქმა შემთხვევით არ გაუძლო სხვებზე უკეთ 1955 წლის გვალვას. ჯერ კიდევ თესვის დროს, „ყდანავსკის“ საბჭოთა მეურნეობაში ყოფნისას, შევნიშნე, რომ თესლს რადაც უჩვეულოდ ღრმად თესავდნენ. რაიკომის მდივანმა მ. გ. როგინეცმა კვლავ ამიხსნა „ერთი წვრილმანი“:

— ჩვენი აგრონომის აზრით, სამი-ოთხი სანტიმეტრის სიღრმეზე კი არ უნდა ვთესოთ, როგორც გათვალისწინებულია საყამირე აგროწესებით, არამედ ექვს-რვა სანტიმეტრზე.

— კი მაგრამ, ეგრე ხომ მხოლოდ სიმინდს თესავენ.

სამწუხაროდ, არ მახსოვს იმ აგრონომის გვარი, მისი ახსნა-განმარტება კი დამახსოვრდა:

— მე, ლეონიდ ილიას ძევ, ჯერ კიდევ შარშან მჭირდა ასეთი ღრმა თესვის საცდელი ნაკვეთები. შედარებაც კი შეუძლებელია! ადვილი გასაგებია: ნიადაგის ზედა შრეა მალე შრება, მცენარე ფესვის გამოღებას ძლივს ასწრებს, რომ ნიადაგი ზემოდან სველდება და ფესვებს წყვეტს.. ჩვენთან კი, სანამ მიწა გაშრებოდეს, ფესვი განვითარებას ასწრებს, ქვედა ტენს სწვდება, მერე კი წვიმაც მოუსწრებს ხოლმე.

ორ დღე-ღამეს ვადევნებდი თვალს ახლებურ თესვას. „ყდანავსკიდან“ ამ აგრონომთან ერთად „ჩერნიგოვსკში“ გავფრინდი, მერე სხვა საბჭოთა მეურნეობებს ვეწვიეთ, გავუმართეთ სათესი მანქანები, კვლებში დავცოცავდით, თითები გადაგვეყვლიფა იმის სინჯვაში, თუ როგორ ჩადიოდა თესლი... მართლაც, ხორშაკმა რომ დაჰბერა, ამ მეურნეობათა ნათესები მწვანე კუნძულებად მოჩანდა გადაბუგულ სტეპში — მაშასადამე, ღირდა ხელი მოგვეკიდა ამ საქმისათვის. ახლა ყამირზე სხვა ადგილებისაგან განსხვავებით თესლს რვა სანტიმეტრის სიღრმეზე თესავენ, და ეს ჩვეულებრივ აგროხერხად იქცა.

ასე მისხალ-მისხალ ვიძენდით გამოცდილებას. მაგრამ მიღწევებთან ერთად წამოიჭრებოდა ხოლმე ახალი პრობლემებიც. მეცნიერთა წინასწარმეტყველება ჭარისმიერი ეროზიის შესახებ მართლდებოდა. მახსოვს, პავლოდარის ოლქში რაიკომების მდივნებთან დ. ა. ასანოვიდან და ი. ი. ბურნეევთან ერთად ვნახე ყანების თავზე დატრიალებული პირველი ქარბორბალები და გზებზე ავარდნილი ქვიშიანი ქარები. საშინელება ყოფილა შავი გრიგალი, სუნთქვა ჭირდა. მალე კი სარეველამაც ამოყო თავი მიწიდან.

ყოველივე ამან მაფიქრებინა ჩავსულიყავი კურგანის ოლქში, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ — ტ. ს. მალცევთან. ტერენტი სიმონის ძემ მიჩვენა თანაბარი, სრულიად უსარეველო ხორბლის ყანები, მერე კი მიამბო. ეს კაცი ძალზე დამაჯერებლად ლაპარაკობს, და ამის მიზეზია მრავალი წლის გამოცდილება. ხალხური სიბრძნე და მიწის ერთგულება. მოკლედ, აფორიზმებით მელაპარაკებოდა:

— ბელტის გადასაბრუნებელი გუთანი ვეღის მიწათმოქმედების მთავარი მტერია. ჩემი სისტემა გამოგადგებათ. მაგრამ, იქნებ, რაიმე უფრო მაგარი, უფრო ახალი მოიფიქროთ?

— მაქსიმალურად შეამცირეთ ნიადაგის დამუშავებათა რიცხვი! გატეხეთ ყამირი, მაგრამ მერე წარამარა ნუ ჩიჩქნით.

— ანეულები — აი სტეპის მოსავლის მთავარი პირობა. უანეულოდ ყამირზე უპურობა დარჩებით.

— სარეველა მომრავლდა? მოსალოდნელი იყო. ჯერჯერობით აქა-იქ უკვე იღებენ შვრიუკანარევ ხორბალს, მერე კი ხორბალნარევ შვრიუკასაც მიიღებენ. ზოგი დაიბნა: ვითომდა, ღონიერიაო შვრიუკა, რა ვუყოთო? ეს კი, პირიქით, სუსტი სარეველაა. მაშინ არის ღონიერი, როცა პატრონი შეხვდება სუსტი. კარგია, რომ გვიან თესავთ. უნდა დავიცადოთ, გამოვიტყუოთ შვრიუკა და მოვსპოთ, აი, მერე კი ვთესოთ. მაგარი ნერვები უნდა გვქონდეს. ვისაც ნერვები არ უვარგა, მას მემინდვრეობასთან არაფერი ესაქნება...

ბევრი რამ გავიგე. თუ ასეა, იკითხავს მკითხველი, მაშ რატომ მაშინვე არ გავრცელდაო სასარგებლო გამოცდილება მთელ ყამირზე? გიპასუხებთ: მიწას ჰყავს უფრო საშიში მტერი, ვიდრე გუთანი და სარეველა, — ეს ჯერ ის, რომ მას თავს ვახვევთ ხოლმე ყოველგვარ „რეკომენდაციებს“. ძალზე ბევრი იყო ეს რეკომენდაციები და ძალზე ძვირად უჯდებოდა ისინი ქვეყანას, რომ მომხვდარიყავით: სოფლის მეურნეობა ისეთი ბუნებისაა, რომ არ უყვარს ბრძანებები. და თუმცა, ვაღიარებ, ძალზე მინდოდა ზოგჯერ „დამეჩქარებინა“ და „მივწოლოდი“, მაგრამ თავს ვიკავებდი. საშუალება უნდა მიგვეცა ხალხისათვის, თვითონ გარკვეულიყვნენ ყველაფერში, რათა შემუშავებულიყო კოლექტიური გამოცდილება.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტებს ვთხოვდი უფრო ფართოდ გაეშუქებინათ საუკეთესო საბჭოთა მეურნეობების მიღწევები, ვაწყობდი სემინარებს, ვმართავდი თათბირებს ცენტრალურ კომიტეტში. უმნიშვნელოვანეს საქმედ მიგვაჩნდა სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის გაშლა, მათ ამოცანად ვუსახავდით შეესწავლათ საბჭოური და მსოფლიო გამოცდილება, გამოეხახათ ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საიმედო მეთოდები. არ შემიძლია არ აღვნიშნო მეცნიერთა დიდი მუშაობა ა. ი. ბარაევის, ამჟამად ლენინური პრემიის ლაურეატის მეთაურობით. მახსოვს, რა დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, „მცირე რწყვის“ — ანეულების დიდ მნიშვნელობას. და შემთხვევითი არ არის, რომ მიწათმოქმედების ნიადაგდაცვის სისტემა შემდგომში სწორედ ყაზახეთის ყამირზე იშვა.

ვცდილობდით ყოველნაირად დაგვეცვა ანეულები. მოვიყვან ერთ საგულისხმო დოკუმენტს. ჩემს კაბინეტში სპეციალისტთა თათბირი მიმდინარეობდა. ეს იყო 1955 წლის 9 ივნისს, გაგანია გვალვაში. საშინლად ცხელოდა, ყანები იწვოდა, ჩვენ კი მომავალზე — ყაზახეთის სოფლის მეურნეობის განვითარების მთელ ხუთწლიან გეგმაზე ვბჭობდით. აი სტენოგრამის ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ისმებოდა მაშინ საკითხი:

„ამხ. **მელნიკი** (რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი): ახლა თესლბრუნვაზე მოგახსენებთ. მილიონობით ჰექტარი ყამირი მიწების ამოქმედების გამო ჩვენ დიდძალი საბნავი ანეულებს უნდა დავუთმოთ. ვალდებული ვართ, და ასეც მოვიქცევით. სამი წლის განმავლობაში ამ ახალ მიწებზე ვთესოთ ხორბალი, მაგრამ მეოთხე წელს მას გადავიყვანთ ანეულებად. თუ მხოლოდ ნახევარ-ნახევარ მილიონ ჰექტარს გადავიყვანთ წელიწადში, როგორც ამას გვთავაზობენ, 1960 წლისათვის ანეულებს მთელი სახნავის მხოლოდ მეექვსედ ნაწილზე დავნერგავთ. აგროტექნიკის თვალსაზრისით, ეს ძალიან ცუდია. 1960 წლამდე რომც გამოვნახოთ კიდევ ორ მილიონამდე ჰექტარი ყამირი სახნავების გასაფართოებლად, მაინც რამდენადმე უნდა შევამციროთ 1960 წლისათვის გათვალისწინებულ ახლადხნულ გაანგარიშებებში სახნავის რაოდენობა მარცვლეულისათვის. მხოლოდ ასე შეეძლებით მიწათმოქმედების კულტურული წარმოების უზრუნველყოფას. და ეს უნდა გავაკეთოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. თორემ პირველი ხვნისთანავე წავახდენთ მიწას.

ამხ. **ბრეჟნევი:** ვინ გედავებათ ამაში?

ამხ. **მელნიკი:** გვედავება ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. სადაც ჩაწერილია მარცვლეულის სხვა ციფრი. ლაპარაკია იმაზე, რომ შევცვალოთ ეს წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რადგან, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ, ჯერ კიდევ არ შეგვეძლო ბევრი რამ ზუსტად გაგვეთვალისწინებინა.

ამხ. **ბრეჟნევი:** კარგი იქნებოდა, ანეულებთან დაკავშირებით გვეთქვა ნათლად ჩამოგაყალიბებათ ის ზრუნვა, რომ გარკვეული წილი მივიღოთ ამ ჩვენი დიდგვინილებიდან.

ამხ. **მელნიკი:** დიახ, იგი ხელ-ფეხს გვიბოჭავს.

ამხ. **ბრეჟნევი:** უნდა ვიხელმძღვანელოთ სამეურნეო მიზანშეწონილობით. საგულდაგულოდ, საღად უნდა გავიანგარიშოთ ყველაფერი, როგორც ამას მეურნეობის გაძღოლის პირობები გვიკარნახებს. უკვე ახლა ვგრძნობთ, რომ ჩვენ ნაკლები ტენიანობის ზონაშიც, უარესი ხარისხის მიწებზეც უნდა გავიდეთ. ვფიქრობ, პირობითად შეიძლება მივიღოთ, რომ კიდევ ორ მილიონამდე ჰექტარს გამოვნახავთ. მაგრამ რა ვუყოთ მთლიან მოსავალს? დიდ ფართობს ხომ არ უთმობთ ანეულებს?

ამხ. **მელნიკი:** არა. ყველაფერი აწონ-დაწონილი და ოლქებთან შეთანხმებულია.

ამხ. **არისტანბეკოვი** (რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე): ანეულების რაოდენობა 16-18 პროცენტამდე უნდა გავზარდოთ, მაშინ შევძლებთ დასახული დავალებების შესრულებას.

ამხ. **ბრეჟნევი:** და მაინც, რა ვამოდის? თუ საშუალოდ რესპუბლიკაში გვექნება, ვთქვათ, 17 პროცენტი ანეულები, მაშინ საჭირო მთლიან მოსავალს ვეღარ მოვიწევთ? იცოდეთ. მთლიანი მოსავლის მხრივ ყაზახეთი განსაკუთრებულ, თავისებურ მდგომარეობაშია. ამას მკაცრად ადევნებენ თვალყურს პარტია და მთავრობა. ხან ისე და ხან ასე, არ ივარგებს. ანეულები უნდა გვქონდეს, მაგრამ რამდენი? რამდენი ანეული იყო ყამირის ათვისების დაწყებამდე?

ამხ. **არისტანბეკოვი** (რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მერქნიერების სამმართველოს უფროსი): 1940 წელს 18 პროცენტი იყო. ჩვენი ზონისათვის ანეულები მიწათმოქმედების სათუძველია. გარდა ამისა, მინდა მოგახსენოთ მრავალწლოვან ბალახებზე. მხედველობაში მაქვს რაიონები, სადაც ჭარისმიერი ეროზია იცის. იქ ჩვენ თესლბრუნვა უნდა დავიწყოთ უფრო ხანგრძლივი როტაციით და ბალახები ნიადაგის დასამაგრებლად დავთესოთ. ველანგარიშებებში ეს მომენტი გათვალისწინებული არ არის. მალეცვეისეულ თესლბრუნვასთან ერთად უნდა გვქონდეს თესლბრუნვები მრავალწლოვანი ბალახებით.

ამხ. **ბრეჟნევი:** კარგი საქმეა... მაგრამ როგორი იონჯა იქნებათ წლეულს, ვთქვათ, პელოდარელებს? არც ბალახი, არც დამაგრება.

ამხ. **ანდრიანოვა:** იქ ბალახს არ დათესავენ, არადა, უნდა თესონ. თორემ ოლქში ისეთი ეროზია იქნება, როგორიც არსად არ ყოფილა. ჭარისმიერი ეროზია ჩვენში საშინელი უბედურება გახდება, თუ ამთავითვე არ დავიწყეთ მისგან დაცვა. ეს ღონისძიებები უნდა აისახოს ჩვენს ხუთწლიან გეგმებსა და გაანგარიშებებში.

ამხ. **ბრეჟნევი:** გეთანხმებით. როგორც ჩანს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობისადმი ჩვენს მოხსენებითს ბარათში პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ მარცვლეულის წარმოების ზრდა რესპუბლიკაში მოდწევს ამა და ამ დონეს და მერე შეჩერდება. ეს სავსებით გასაგებია. ორ წელიწადში ავითვისებთ 18 მილიონ ჰექტარს. სამ წელიწადს სულ ხორბალს დავთესავთ, მერე კი ასე ვეღარ გაგრძელდება. ის, რაც საორიენტაციოდ ჩავწერეთ წინათ, თვითნებური, ჩვენთვის სასურველი ციფრი იყო. შემდგომში ჩვენ შეეძლებთ მივაღწიოთ დასახულ მიჯნას ყამირის მასივების დამატებითი ამოქმედების გზით და არა მიწის გამოფიტვის გზით.

ამხ. **მელნიკი:** ბარათის შესადევნად ცოტა დრო დაგვრჩა, სულ სამიოდე დღე.

ამხ. **ბრეჟნევი:** ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფაზილ ქარიბჟანის ძე ქარიბჟანოვმა ითავოს ეს საქმე. შეგკრიბოთ ყველანი თავისთან, ჰოდა, ფურცელ-ფურცელ წერეთ დღედაღამ.

ამხ. **მელნიკი:** მაშ დაგვიკეტია სამინისტრო, და ეგ ჭრის...

ამხ. **ბრეჟნევი:** ეს ისეთი სამუშაოა, რომ ყველაფრად ღირს: დაწერეთ მოკლე ბარათი. ადვილად წასაკითხი — მხოლოდ ციფრები და დასკვნები. ნუ გაართულებთ. ტვინს ნუ იგუდებთ, ყველაფერი ზუსტი და მკაფიო უნდა იყოს.

